# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№44 (10047) 2026 წლის 17 აპრილი, პარასკევი




②

## „ცეცხლი ოლიგარქიას“!

## 500X0=0 – რუსთაველზე პროტესტის ნულოვანი შედეგი

## ტერორის ცხოველური მოთხოვნილება

რომის პაპი:

# სამყაროს ტირანები ანადგურებენ!



ნომრის ციტატა

„სამყარო ტირანების მიერ არის განადგურებული. ომის გატონები თავს აჩვენებენ, თითქოს არ იციან, რომ მხოლოდ წამია საჭირო განადგურებისთვის, ხოლო აღდგენა ხშირად მთელ სიცოცხლეს მოითხოვს. თვალს ხუჭავენ იმაზე, რომ მკვლელობასა და განადგურებაზე მილიარდობით დოლარი იხარჯება, ხოლო განკურნებისთვის, განათლებისა და აღდგენისთვის საჭირო რესურსები სადაც უნდა ეძებო, ვერსად ნახავ. იესომ გვითხრა: ნეტარ არიან მშვიდობის მქმნელნი, მაგრამვაი მათ, ვინც სარგებლობს რელიგიით და თვით ღმერთის სახელით საკუთარი სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნებისთვის, წმინდას ბნელეთსა და ჭუჭყში მიათრევს“!..

**კამერუნი, 16.04.2026**

## ვყიდულობთ ძვირად, ვაძლევთ იაფად!

④

ენგურჰესი, ტექნიკური თვალსაზრისით, მუდმივად პრობლემურია!



③

## მაკა ბოჭორიშვილის სიმართლე დახვავებული ტყუილების წინააღმდეგ!

## ორბანის მარცხის მთავარი მიზეზი...



⑧




## ვერცხლით დავიწყეთ!

თბილისი მეორედ მასპინძლობს ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს, რაც ქართული სპორტის მორიგი გამარჯვებაა.

გუშინ ფორუმის სასტარტო დღეს ტატამზე 4 ჯვაროსანი გამოვიდა და მათგან მეორე პრიზიორი მხოლოდ გიორგი სარდალაშვილი (60კგ) გახდა.

მსოფლიოსა და კონტინენტის შარშანდელმა გვირგვინოსანმა გერმანელ, ბელგიელ და აზერბაიჯანელ მეტოქეებს სძლია, მაგრამ ფინალში საფრანგეთის სახელით მოჭიდავე ლუკა მხეიძესთან დამარცხდა...



⑩



## „ცეცხლი ოლიგარქიას“!

# ტერორის ცხოველური მოთხოვნილება

## 500X0=0 – რუსთაველზე პროტესტის ნულოვანი შედეგი

**ეს მარტივი არითმეტიკა შემთხვევით არ მოგვიყვანია. დიახ, რადიკალური ოპოზიციის უწყვეტი მიტინგების დაწყებიდან 500 დღე შესრულდა. ამ ხნის მანძილზე, მათ ვერცერთ დასახულ მიზანს ვერ მიაღწიეს, მათი არცერთი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. არც ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების პერსპექტივა ჩანს და არც რადიკალთა დაპატიმრებული თანამზრახველების ვადამდე გათავისუფლების. შესაბამისად, თუ პროტესტის „500“ დღეს „0“ შედეგზე გავამრავლებთ, რა თქმა უნდა, „0“ -ს მივიღებთ. თუმცა, „ნულოვანები“ არც აქციის შეწყვეტას აპირებენ, არც მის ფორმასა და შინაარსში რაიმეს შეცვლას. ისმის კითხვა - რატომ, რა რჯით? ამის მიზეზ-გარემოებები იმაზე უფრო მეტია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.**

**ის, რომ აქციები ამდენ ხანს გრძელდება, მათში ძირითადად ერთი და იგივე ხალხი მონაწილეობს და სპონსორების ვინაობაც მეტ-ნაკლებად ცნობილია, ადასტურებს გავრცელებულ ვერსიას, რომ აქციებში მონაწილეობა ფინანსდება. როდესაც ორსამსაათიან მიტინგში მონაწილეობისთვის კარგად გიხდიან, გახვალ და დადგები, მით უმეტეს, თუ ფინანსურად გიჭირს. ბოლო დროს, აქციაზე გარკვეული კატეგორიის ხალხის მომრავლებამ კიდევ უფრო გააძლიერა ეს ეჭვი.**

ამას გარდა, აქციის მონაწილეებში გაჩნდა ფსიქოემოციური და მოტივაციური მომენტიც. მათ საკუთარი თავი დაარწმუნეს იმაში, რომ ამ უწყვეტი აქციებით პრეცედენტი შექმნეს და უკვე ერთგვარ სპორტულ აზარტში არიან შესულნი. ახლა წარმოიდგინეთ, როგორია მათთვის 500-დღიანი აქციის შეწყვეტა, ყოველგვარი შედეგის გარეშე! მათ არ სურთ აქციის ისე შეწყვეტა, რომ დამარცხებულნი გამოჩნდნენ. ეს კრახი იქნებოდა აქციის მონაწილეებისა და ორგანიზატორებისთვის, თან გრძელვადიანი შედეგით იმიტომ, რომ ხელახლა მსგავსი აქციის წამოწყებას უკვე ფასი აღარ ექნება. მათ კი სურთ, ამ უწყვეტი აქციით, როგორც თავად ამბობენ, „ისტორია დაწერონ“. არაა გამორიცხული, მონაწილეთა დიდ ნაწილში ქართველებისთვის დამახასიათებელმა ჯიბრმა გაიღვიძა – იმათ როგორ უნდა გვაჯობონ?!

მითი, რომ ეს „გულანთებული ახალგაზრდა აქტივისტების“ სპონტანური და თვითნაბადი აქციებია და რუსთაველზე გამოსულნი მართლა ევროპულ არჩევანს იცავენ, უკვე მოკვდა. ბევრ მათგანს წარმოდგენაც კი არ აქვთ ევროკავშირზე. რეალურად, ეს არის ერთი ცენტრიდან ორგანიზებული აქცია, რომელშიც რეჟისორებს პერიოდულად კორექტივები შეაქვთ – მაგალითად, ე.წ. „შაბათის მარშების“ შემოღებით, რომ აქციას მასობრიობის ეფექტი შესძინონ. თუმცა, ვერც ამ „ინოვაციამ“ გაზარდა მონაწილეთა რიცხვი.

**აქციების მონაწილეთა სიმცირე შეიძლება რამდენიმე მიზეზით ავხსნათ. ბევრი ხალხის მობილიზებისთვის ორგანიზატორებს რესურსები არ ჰყოფნით და თვლიან, რომ მცირე მყვირალა ჯგუფებიც საკმარისია პროტესტის ეფექტისთვის.**

მეორე მიზეზი დაკავშირებულია მორალურ და ადამიანურ ფაქტორებთან, ასევე ლიდერობის დეფიციტთან. 500 დღის მანძილზე, აქციის მონაწილეთაგან ვერ გამოიკვეთნენ ინტელექტუალური და მორალური ახალი ლიდერები. სწორედ ამიტომ, 500 დღის მანძილზე მიტინგების მონაწილეებმა ვერ შეძლეს მორალური უპირატესობის მოპოვება ან მაღალი მორალური დატვირთვის მაგალითების ჩვენება. პირიქით, მათ უფრო მეტი ადამიანი განაწყვეს საკუთარი თავის წინააღმდეგ.

ამის ერთ-ერთი მიზეზი კი არის, რომ მიტინგების მოთავეები წარმოადგენენ ტიპიურ „ლუმპენიზირებულ“, დეკლასირებულ ელემენტებს, რომლებიც მხოლოდ ტურბულენტურმა მოვლენებმა ამოსწია სოციალური ფსკერიდან.

**როდესაც დაბალი მორალისა და რაც ყველაზე უარესი, ძალადობრივი ფილოსოფიის მქონე ოდიოზური ფიგურები, თავს „ლიდერებად“ წარმოაჩენენ და ხალხს აქეთ მოძღვრავენ, ეს ბუნებრივად იწვევს მათდამი გაუცხოებას. ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო აქციის მონაწილეების მიერ, 9 აპრილის მსხვერპლთა მემორიალთან დაშვების უფლების სრულიად თავხედურად მითვისება. რადიკალიზმი საზოგადოების დანარჩენი ნაწილის მიმართ, რომლებსაც აქციის მონაწილეები „არასწორ ადამიანებად“ მიიჩნევენ და რეპრესიებით ემუქრებიან, აშკარად გვახსენებს არასასურველ ხალხთა „ჩარეცხვის“ ცნობილ პერიოდს. სწორედ აქ იკითხება კუ-ლისებში მყოფი, მაგრამ კარგად ცნობილი რადიკალური პოლიტიკური აქტორების („ნაცმოძრაობის“ და მისი შვილობილი პარტიების) ხელწერა. ბოლო დროს მათი კავშირი ამ მიტინგებთან სულ უფრო ხილული ხდება.**

რეალურად, ეს უწყვეტი აქციები არის რადიკალური ოპოზიციის რესურსების პორტფელის შემადგენელი ნაწილი. ამით მიდიან ისინი თავიანთ დასავლელ პატრონებთან და როდესაც იქ ეკითხებიან – გვაჩვენეთ შედეგი! პასუხი არის 500-დღიანი უწყვეტი „პროევროპული აქცია“, რომელსაც სახალხო მხარდაჭერად ასაღებენ. დასავლეთში ბრმები არ არიან, ხედავენ, რომ 500 დღის მანძილზე აქციების მონაწილეთა რაოდენობა დრამატულად არ გაიზარდა, რაც პირდაპირი მაჩვენებელია მათი არაპოპულარობის. დასავლეთში ვერა და ვერ ამოხსნეს „ქართული ალგორითმი“. მათი მცდელობები, ამ აქციების ფონზე გამოეძერწათ ყალბი გმირები და შემდეგ ჩვენი საზოგადოებისთვის თავს მოეხვიათ, სრული კრახით დასრულდა.

**აქციის მონაწილეთა მოთხოვნებს რომ რაიმე ლეგიტიმური საფუძველი ჰქონდეთ, კიდევ შეიძლებოდა მათთან დიალოგზე ფიქრი. თუმცა, პრობლემა იმაშია, რომ არცერთი მათი მოთხოვნა ლეგიტიმური არ გახლავთ. არჩევნების ტოტალური გაყალბება, რაზეც ისინი აპელირებენ, როდესაც ახალ არჩევნებს ითხოვენ, არცერთმა საერთაშორისო დამკვირვებელმა არ დაადასტურა. საპატიმროში მყოფი რადიკალები კი არანაირად არ აკმაყოფილებენ „სინდისის პატიმრის“ კრიტერიუმებს. სიცრუეზე აგებული პროტესტი კი ვერასოდეს იქნება წარმატებული. ჩვენი საზოგადოების უმრავლესობას სიცრუის და ცრუ-ლიდერების აღარ სჯერა. მან წარსული შეცდომებიდან გაკვეთილების გამოტანა დაიწყო.**

საკითხს რომ უფრო ფართო კუთხით შევხედოთ, ოპოზიციის 500-დღიანი უწყვეტი პროტესტი, თავის ყველა გამოვლინებებით, არის იმის მყარი ინდიკატორი, რომ არავითარი დიქტატურა და ავტოკრატია, როგორც ამას ამტკიცებს ოპოზიცია, საქართველოში არ არის. დიქტატურა ვერ ითმენს მის მიმართ ოპონირების მცირე გამოვლინებასაც კი და მკაცრად სჯის ნებისმიერ წინააღმდეგობას. საქართველოში კი ოპოზიციას და მის მედია-რესურსებს ყველა არხი გახსნილი აქვთ ოპონირებისთვის, რასაც ხშირად ქვეყნის საზიანოდ იყენებენ.

კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი შტრიხი ფართო სურათის უკეთ დასანახად. 500 დღის მანძილზე აქციის სულისჩამდგმელებმა ვერანაირი ღირებული და ახალი ალტერნატივა ვერ შესთავაზეს ჩვენს საზოგადოებას, გარდა „ცეცხლი ოლიგარქიას“ ისტერიული შეძახილების და უცხოეთიდან გადმოღებული, ქართველებისთვის მიუღებელი ე.წ. „პერფორმანსების“.

ჩვენი საზოგადოება ერთხანს ქართული ტოლერანტობით უდგებოდა რადიკალთა აქციებს. ის ითმენდა რუსთაველის გამზირის მრავალთვიან გადაკეტვას და სხვა ექსცესებს. თუმცა, მას შემდეგ, რაც რადიკალებმა ამ ტოლერანტობით ბოროტად ისარგებლეს, ხალხში უკმაყოფილება გაიზარდა. გაჩნდა სურვილი, რომ ამ შეკვეთილ ბაქანალიას რაც შეიძლება მალე მოეღოს ბოლო და დედაქალაქი ტრადიციულ ცხოვრებას დაუბრუნდეს.

როდის და რა ფორმით იფეთქებს ეს სახალხო უკმაყოფილება, რთული სათქმელია. ერთი შეხედვით, უმნიშვნელო კონფლიქტიც კი შეიძლება გახდეს მძიმე დაპირისპირების კატალიზატორი, გამომდინარე შედეგებით.



**P.S. უნგრეთში ორბანის პარტიის დამარცხებამ, შესაძლოა, „ნულოვანთა“ მიტინგს და მის სპონსორებს ყალბი ცდუნებები გაუჩინოს. თუმცა, ქართული რეალობა მალევე დაარწმუნებს საპირისპიროში. მათი აზროვნების დაბალი კულტურა, რომელიც რევოლუციური ტერორის ცხოველურ მოთხოვნილებას ვერ გასცდა, ამჯერადაც დასვამს მათ უკან, კუთვნილ ადგილას.**

**ზაალ ანჯაფარიძე**

## შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიი“-ს (ს/ნ 405007200) განცხადება

გაცნობებთ, რომ შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“ (შემდგომში - „კომპანია“) წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოს, რომელიც საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულად მიჩნეული ინტერესების მართვას, სწორედ აღნიშნულის ფარგლებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის მოწყობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 04 მარტის N417 განკარგულების საფუძველზე, კომპანია უზრუნველყოფს – ქ. თბილისი, იბრაჰიმ ისფაჰანლის ქუჩა N3-ში, მდებარე 999 კვ/მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1-N10 შენობა-ნაგებობების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.18.04.015.013) გამოსყიდვას, შემდგომში ამავე ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის მიზნით. აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხების მოწესრიგების შემდგომ, ამავე ტერიტორიაზე იგეგმება – **„ჰეიდარ ალიევის სახელობის კულტურის ცენტრის“** სამშენებლო სამუშაოები, რაც მოიცავს საკონცერტო დარბაზის, „ბავშვთა თეატრის“, მისაღები და სხვა კულტურული ღონისძიებებისთვის გათვლილი სივრცეების მოწყობას.

„ჰეიდარ ალიევის სახელობის კულტურის ცენტრის“ სამშენებლო სამუშაოების არეალში მოექცა ქ. თბილისი, იბრაჰიმ ისფაჰანლის ქუჩა N3-ში მდებარე, ქვემოთ წარმოდგენილი მოქალაქის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება:

**1. მესაკუთრე – მარინე კობიაშვილი (პ/ნ 01013002023)**

| საკადასტრო კოდი | საკუთრების ტიპი | ფართი |
|---|---|---|
| 01.18.04.015.013.01.506 | ფართი | 10.69 კვ/მ |
| 01.18.04.015.013.01.507 | ფართი | 7.38 კვ/მ |

ვინაიდან, კომპანიას ამოეწურა მასთან მოლაპარაკებების ყველა რესურსი, უძრავი ქონების გამოსყიდვასთან დაკავშირებით, კომპანიამ იმოქმედა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2026 წლის 03 აპრილის N1-1/103 ბრძანების საფუძველზე, – **„ჰეიდარ ალიევის სახელობის კულტურის ცენტრის“** მშენებლობის პროექტი ჩაითვალა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების მქონე პროექტად და შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიას“ მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება პროექტის ზემოქმედების ფარგლებში არსებულ ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე.

**გთავაზობთ 9 აპრილის ნომერში გაპარული ტექნიკური უზუსტობის ჩასწორებულ ვარიანტს**



# მიხეილ ყაველაშვილმა გაეროს აკრედიტებულ ელჩებთან შეხვედრა გამართა

**საქართველოს პრეზიდენტმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან აკრედიტებულ ელჩებთან შეხვედრა გამართა. მიხეილ ყაველაშვილი მიესალმა ელჩების ვიზიტს საქართველოში და ამგვარი ვიზიტების პოზიტიურ მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.**

შეხვედრაზე ისაუბრეს ორგანიზაციის ფარგლებში ნაყოფიერ თანამშრომლობაზე, გაეროს საქმიანობაში საქართველოს აქტიურ ჩართულობასა და ორგანიზაციის დღის წესრიგში არსებულ აქტუალურ საკითხებზე.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას, ხაზი გაესვა ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და გატარებულ რეფორმებს. ასევე ისაუბრეს მსოფლიოში არსებულ გამოწვევებსა და მიმდინარე პროცესებზე.

როგორც **მიხეილ ყაველაშვილმა** აღნიშნა, საქართველო მიესალმება გაეროს გენერალური მდივნის რეფორმის ინიციატივა UN80-ს, რომელიც მიზნად ისახავს ორგანიზაციის ეფექტიანობის ზრდასა და სტრუქტურული ცვლილებების საჭიროების გაცნობიერებას. ამასთან, პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს, როგორც ცივილიზაციათა შორის დიალოგისა და მშვიდობის პლატფორმის განსაკუთრებულ როლზე.

**საქართველოში სტუმრად მყოფი დელეგაციის შემადგენლობაში არიან: ტონგას, სამოას, ტაჯიკეთის, კონგოს რესპუბლიკის, სენტ-კიტსი და ნევისის, ტიმორ-ლესტეს, პარაგვაის, მავრიკის, ბოტსვანას მუდმივი წარმომადგენლები გაეროსთან.**

**პრეზიდენტის სასახლეში გამართულ შეხვედრას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლაშა დარსალია, გაერო-სთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი დავით ბაქრაძე და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.**

# გივი მიქანაძემ აშშ-ში ქართული კულტურის ცენტრებსა და საკვირაო სკოლებს საჩუქრები გადასცა!

**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, გივი მიქანაძემ შეხვედრა გამართა ნიუ იორკსა და ნიუ ჯერსის შტატებში მოქმედი კულტურის ცენტრებისა და საკვირაო სკოლების ხელმძღვანელებთან.**

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრმა დამსწრე საზოგადოებას საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები გააცნო და იმ ინიციატივების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რომლებსაც სამინისტრო დიასპორის მხარდაჭერის მიზნით ახორციელებს.

გივი მიქანაძემ მადლობა გადაუხადა ქართული კულტურის ცენტრებისა და საკვირაო სკოლების ხელმძღვანელებს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ ისინი ეროვნული მნიშვნელობის საქმეს ემსახურებიან – ქართველ ბავშვებს უნერგავენ სამშობლოს სიყვარულს და უნარჩუნებენ მათ ბმას საქართველოსთან.



გივი მიქანაძემ შეხვედრის მონაწილეებისგან არსებული გამოწვევების შესახებ მიიღო ინფორმაცია და საკვირაო სკოლების საქმიანობის გაძლიერების მიზნით მათ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით ასევე მიმართა ნიუ იორკში საქართველოს გენერალურმა კონსულმა მაია ბართაიამ. შეხვედრის დასასრულს მინისტრმა მონაწილეებს საკვირაო სკოლებისთვის საჩუქრად წიგნები გადასცა.



# მაკა ბოჭორიშვილის სიმართლე დახვავებული ტყუილების წინააღმდეგ!

## საგარეო საქმეთა მინისტრი პარლამენტში

**პარლამენტში, ინტერპელაციის წესით, საგარეო საქმეთა მინისტრ მაკა ბოჭორიშვილს მოუსმინეს. მინისტრს 19 შეკითხვით ფრაქცია „საქართველოსთვის" წევრებმა მიმართეს.**

კითხვები საქართველოს საგარეო პოლიტიკას, ევროკავშირთან ურთიერთობას, უსაფრთხოებასა და საერთაშორისო სანქციებთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხებოდა.

**„ტყუილია, თითქოს „ქართულმა ოცნებამ" ცალმხრივი გადაწყვეტილებით ევროინტეგრაციის პროცესი 2028 წლამდე შეაჩერა. „ქართულ ოცნებას" ევროინტეგრაციის პროცესი არასდროს შეუჩერებია, პირიქით, „ქართული ოცნების" ხელისუფლების თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს საქართველო სხვადასხვა მიმართულებით ბევრად უფრო ახლოს არის ევროპულ სტანდარტებთან, ვიდრე სხვა კანდიდატი ქვეყნები", –** განაცხადა **მაკა ბოჭორიშვილმა.**

მისი თქმით, 2014 წლიდან საქართველომ, როგორც ევროკავშირის ასოცირებულმა პარტნიორმა ქვეყანამ, ყველა მიმართულებით თვალსაჩინო პროგრესს მიაღწია და ამ პროგრესის დასტურია ევროკომისიის ყველა ანგარიში, რაც კი 2025 წლამდე ბრიუსელში გამოქვეყნებულა.

**მაკა ბოჭორიშვილის** განცხადებით, პოლიტიკური დიალოგი საქართველოსთან 2024 წელს ბრიუსელის გადაწყვეტილებით შეჩერდა. გადაწყვეტილებას კანდიდატ ქვეყანასთან მოლაპარაკებების გახსნის თაობაზე იღებს ევროკავშირის საბჭო და არა კანდიდატი ქვეყანა.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისთანავე საქართველო მზად არის აწარმოოს მოლაპარაკებები ევროკავშირთან, თუმცა ამისთვის საჭიროა, რომ ევროკავშირის ბიუროკრატია დაუბრუნდეს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ პოლიტიკურ დიალოგს საქართველოსთან, რომელიც 2024 წელს შეაჩერა. მინისტრის ინფორმაციით, ევროკომისიის 2024 წლის გაფართოების ანგარიშში, რომელიც აფასებს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს, ჩანს, თუ რამდენად წინ არის საქართველო სხვა კანდიდატ ქვეყნებთან შედარებით ევროკავშირში გაწევრიანების კრიტერიუმების დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

სწორედ ამ პროგრესის მიჩქმალვის სურვილით აიხსნება ის ფაქტი, რომ 2025 წელს გაფართოების ანგარიშის მომზადებისას ევროკომისიამ უარი თქვა საქართველოს შეფასებაზე ყველა პრაქტიკული მიმართულებით, სადაც კი შესაძლებელი იყო საქართველოს პროგრესის ჩვენება.

**მაკა ბოჭორიშვილმა** საქართველოს მიმართ უსამართლო მიდგომებზე ისაუბრა. მისი თქმით, 2022 წლის ივნისში, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე უარი, მაშინ როდესაც უკრაინასა და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მიენიჭა, იყო უსამართლო. ასევე უსამართლობა იყო დიპლომატიური პასპორტების მფლობელებისთვის უვიზო მიმოსვლის შეთანხმების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება.

**„საქართველოსთან „გაგუტვის" პოლიტიკა უსამართლობაა და საღ აზრს მოკლებულია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც აცხადებ, რომ ქართველი ხალხის ევროპულ მისწრაფებებზე გული შეგტკივა"!**

**მაკა ბოჭორიშვილის** თქმით, საქართველოს პარლამენტის მიერ 2024–25 წლებში მიღებულ კანონებს და რეგულაციებს, რომლებიც მიზნად ისახავს უცხოური ჩარევების პრევენციას პოლიტიკაში და უცხოური გავლენის გამჭვირვალობას, არც ერთი პროექტი არ შეუჩერებია. საგარეო საქმეთა მინისტრმა ასევე ყურადღება გაამახვილა აშშ-თან სტრატეგიულ პარტნიორობაზე.

**„იმედის მომცემია, პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის მიდგომები ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რამაც საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობებში ერთგვარი უკუსვლა გამოიწვია. იმედი გვაქვს, ეს მიდგომები პოზიტიურად აისახება საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების გადატვირთვის პროცესში".**

მინისტრმა უსაფრთხოების თემასთან დაკავშირებულ კითხვებს უპასუხა და აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებას აქვს გაცხადებული კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პოლიტიკა. როგორც მან აღნიშნა, რუსეთის უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებისა და რეაგირებისთვის ყოველთვის ხდება არსებული საერთაშორისო მექანიზმების და ინსტრუმენტების გამოყენება.

საერთაშორისო სანქციების საკითხზე დასმულ კითხვებზე საუბრისას, მაკა ბოჭორიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სანქციების რეჟიმის დაცვის მიზნით, მყისიერად დაიწყო შესაბამისი ღონისძიებების გატარება, იმისათვის, რომ საქართველო არ ყოფილიყო გამოყენებული სანქციების რეჟიმის გვერდის ავლისთვის და ამ დრომდე წარმატებით ახორციელებს ამ პოლიტიკას. მინისტრის თქმით, საქართველო არის გარკვეული ძალების სამიზნე, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებენ, საფრთხე შეუქმნან ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, მშვიდობას და უსაფრთხოებას.

**„ამ მოცემულობაში საქართველოს ხელისუფლების ბრძოლა საქართველოს ინტერესების დასაცავად არც თუ ისე მარტივია, მაგრამ მხოლოდ სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმატებით ვახერხებთ ურთულეს გეოპოლიტიკურ მოცემულობაში ჩვენს ქვეყანაში მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნებას და სტაბილური ეკონომიკური განვითარებისთვის და კეთილდღეობისთვის სათანადო პირობების შექმნას"!**

# ძველი ნაგებობების აღდგენა-რესტავრაცია, მცირე და მაკრო-ბიზნესის ხელშეწყობა, ნაძალადევში სკვერების განახლება...

**„თბილისის განვითარების ფონდი" იწყებს სულხან-საბა ორბელიანისა და პავლე ინგოროყვას ქუჩებზე მდებარე ისტორიული შენობების რეაბილიტაციას.**

სატენდერო პროცედურები უკვე დასრულებულია და გამოვლენილია ოთხი გამარჯვებული კომპანია, რომლებიც სამუშაოებს სხვადასხვა მიმართულებით, დათქმულ ვადებში განახორციელებენ. პროექტი ორ ეტაპად განხორციელდება და მოიცავს როგორც მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, ისე შენობა-ნაგებობების აღდგენა-რესტავრაციას.

**პირველ ეტაპზე სულხან-საბასა და ინგოროყვას ქუჩებზე ქაოსურად განთავსებული და ამორტიზებული საინჟინრო კომუნიკაციები მოწესრიგდება, რაც გულისხმობს აღნიშნულ არეალში მიწისქვეშა სისტემებისა და მიწისზედა კომუნიკაციების სრულ რეაბილიტაციას. რაც შეეხება სამუშაოების მეორე ეტაპს, აღნიშნულ ქუჩებზე მდებარე 21 შენობა-ნაგებობის სრული რეაბილიტაცია-რესტავრაცია განხორციელდება, რისთვისაც, დაახლოებით, 120 მლნ ლარამდე დაიხარჯება. მათგან რვა შენობა სულხან-საბას ქუჩაზე, ხოლო დანარჩენი 13 ნაგებობა ინგოროყვას ქუჩაზე მდებარეობს.**

სამშენებლო მოცულობა 45 000 კვადრატულ მეტრს შეადგენს, რის შედეგადაც საცხოვრებელი პირობები 450-მდე ოჯახს გაუუმჯობესდება. დაგეგმილი სამუშაოების გამო, 18 აპრილიდან მიმდებარე ქუჩებზე სატრანსპორტო მოძრაობა შეიზღუდება.

* * *

**გასულ წელს დავიწყეთ „მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის" საპილოტე პროგრამა, რომელმაც მაღალი ინტერესი და მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა.**

ეკონომიკის განვითარების საქალაქო სამსახური პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსებული მეწარმეების საქმიანობის მონიტორინგს ახორციელებს, რამაც აჩვენა, რომ საკმაოდ დადებითია პროგრამის ეფექტიანობა და შედეგები. აქედან გამომდინარე, მივიღეთ გადაწყვეტილება, საპილოტე პროგრამა სრულმასშტაბიან პროექტად ჩამოვაყალიბოთ და გავაფართოვოთ, ასევე, გავაფართოვოთ დაფინანსება.

**გასულ წელს თითოეული მეწარმის დაფინანსების ლიმიტი 20 000 ლარამდე იყო, წელს კი თანადაფინანსება 50 000 ლარამდე გაიზრდება. შარშან, პროგრამის ფარგლებში, 50-მდე მიკრო და მცირე მეწარმე შეირჩა და დაფინანსდა. მეწარმეებმა შეიძინეს საჭირო დანადგარები და აღჭურვილობა. ბენეფიციართა შერჩევა-შეფასებისას უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატებს, რომელთაც აქტიური საწარმო გააჩნიათ და წარმოადგენენ რეალურ კონსტრუქციულ გეგმასა და ხედვას მათი ბიზნესის განვითარებისთვის. თანადაფინანსების პროპორციულობა შემდეგნაირად გადანაწილდა:**

**5 000 ლარამდე მოთხოვნილი თანხის 90% დაფინანსდება; 5 000-დან 20 000 ლარის ჩათვლით 85%; 20 000-დან 30 000 ლარის ჩათვლით ჩვენი მხრიდან დაფინანსება 80%-მდე იქნება, ხოლო 30 000-დან 50 000 ლარის ჩათვლით მუნიციპალიტეტის მხრიდან 70%-იანი დაფინანსება განხორციელდება.**

* * *

**ნაძალადევში, სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები ზღვისუბნის დასახლების მე-3 მიკრორაიონში, მე-5 კვარტალის N22 კორპუსის მიმდებარედ ხორციელდება. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ამორტიზებული ინფრასტრუქტურის სადემონტაჟო სამუშაოები.**

პროექტის მიხედვით, ტერიტორიაზე გამწვანების სამუშაოები შესრულდება. მოეწყობა ე.წ. სტრიტ ბოლის მოედანი, დამონტაჟდება საბავშვო-გასართობი ატრაქციონები, საფეხმავლო ბილიკები, მოსასვენებელი სივრცეები, ტრენაჟორები და ვიდეომონიტორინგის კამერები. დაირგვება სხვადასხვა სახეობის ხემცენარე.

აღსანიშნავია, რომ ტერიტორია წინა ხელისუფლების დროს გასხვისდა, იყო კერძო საკუთრებაში, თუმცა ჩვენ, მესაკუთრესთან მოლაპარაკებითა და ადგილმონაცვლეობის გზით, მიწის ნაკვეთი მოსახლეობას დავუბრუნეთ. ზღვისუბნის დასახლების ამ კვარტალში მსგავსი ფართობის სხვა რეკრეაციული სივრცე არ არსებობს. შესაბამისად, ტერიტორიის მოწესრიგება ადგილობრივებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.








# ეროვნულ ბანკს დაუჯერეთ, პენსიონერებო!

## 60 წელს ზევით მომხმარებელთა შესაძლო თაღლითური სქემებისგან დაცვის მიზნით, ეროვნული ბანკი საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებით არსებულ მოთხოვნებს ამკაცრებს

**მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და მომხმარებლისთვის შესაძლო ფინანსური თაღლითობის თავიდან აცილების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებით არსებულ მოთხოვნებს ამკაცრებს.**

ეროვნული ბანკის ცნობით, ცვლილება შედის მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციისა და ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესში, რაც ხელს შეუწყობს და უფრო ეფექტიანს გახდის მოწყვლადი სეგმენტის, 60 წელს გადაცილებული მომხმარებლის დაცვას თაღლითური სქემებისგან.

**„განახლებული რეგულაციები ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და მოიცავს ისეთ დამატებით მოთხოვნებს, რომლის მიხედვით, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია, 60 წელს გადაცილებულ მომხმარებელთა ანგარიშებიდან შესასრულებელ გარკვეულ ტრანზაქციებზე რისკების მართვა უფრო მაღალი სტანდარტით განახორციელოს.**




**ცვლილებების მიხედვით, შესაძლო თაღლითური ქმედების შედეგად ელექტრონული გადახდის ოპერაციის შესრულების პრევენციის მიზნით საგადახდო მომსახურების პროვაიდერმა კანონმდებლობით გათვალისწინებული მონიტორინგის მექანიზმებში დამატებით უნდა დანერგოს დაცვის სპეციალური ზომები 60 წელს გადაცილებული მომხმარებლებისთვის.**

**კერძოდ, საგადახდო მომსახურების პროვაიდერმა დროებით უნდა შეაჩეროს ან, სადაც ეს შეუძლებელია, უარი თქვას მომხმარებლის მიერ ინიციირებული რისკიანი ელექტრონული გადახდის ოპერაციის შესრულებაზე. რისკიან ოპერაციად ჩაითვლება შემდეგი ქმედებები – თუ გადახდის ოპერაციის თანხა აღემატება 500 ლარს და გადახდის ოპერაციის შინაარსი დაკავშირებულია თაღლითობის მაღალი რისკის პროფილის საქმიანობებთან, მათ შორის, ონლაინ სავაჭრო ე.წ. ფორექსი, საინვესტიციო, სათამაშო ბიზნესთან ან ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებულ საქმიანობებთან; ან გამოვლენილია მომხმარებლისთვის უჩვეულო ხარჯვისა და ქცევის თავისებურება.**

**რისკიანი ოპერაციის დაფიქსირების შემთხვევაში საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებული იქნება, დაუკავშირდეს მომხმარებელს, მოახდინოს მისი ინფორმირება მომხმარებლის მიერ ინფორმაციის უკეთ გაანალიზების ხელშეწყობის მიზნით, რითაც შემცირებული იქნება თაღლითების მანიპულაციის ქვეშ მომხმარებლის მიერ ოპერაციების განხორციელების რისკი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მომხმარებელს მის მიერ რისკიანი ან/და საეჭვო ტრანზაქციის ინიციირების შემდეგ 48 საათი ექნება, რათა მომხმარებელმა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ტრანზაქციის განხორციელების შესახებ და აღნიშნული დაუდასტუროს მომსახურების პროვაიდერს.**

**აღსანიშნავია, რომ პირველ ეტაპზე სებ-ის მიერ შემუშავებული ახალი წესი სექტემბრიდან ამოქმედდება და მხოლოდ საზარათე ოპერაციებზე გავრცელდება.**

**აქვე, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მომხმარებელთა, განსაკუთრებით კი საპენსიო ასაკის სეგმენტის უფლებების დაცვა, ეროვნული ბანკისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. სწორედ აქედან გამომდინარე, ეროვნული ბანკი მუდმივად ცდილობს ფინანსურ სექტორში არსებული გარემოს გაუმჯობესებას, მათ შორის, ფინანსურ სექტორში ნდობის, სტაბილურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის გზით. ეროვნული ბანკი სამომავლოდაც განაგრძობს თაღლითობის რისკების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში მოახდენს ეფექტიან რეაგირებას"!** – აღნიშნულია ინფორმაციაში.

**საქართველოს ეროვნული ბანკი**

# დაბა სურამში მრავალფუნქციური კომპლექსი აშენდება!

**ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტირებას იწყებს, რომელიც 1000 მაყურებელზეა გათვლილი.**

ხელშეკრულება კონკურსში გამარჯვებულ კომპანიასთან უკვე გაფორმდა, რომლის მომსახურება ოთხი ეტაპისგან შედგება. პროექტი მიზნად ისახავს ისეთი სივრცის შექმნას, რომელიც მოემსახურება ხაშურის, სურამისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობის როგორც სპორტულ, ისე კულტურულ-შემეცნებით საჭიროებებს.

კომპლექსი გააერთიანებს მულტიფუნქციურ სივრცეებს, დიდ და საბავშვო აუზებს, სატრენაჟორო და ფიტნეს დარბაზებს.



შენობებში განთავსდება სპორტის სხვადასხვა სახეობებისთვის განკუთვნილი სივრცეები, მათ შორის ძიუდოს, ჭიდაობის, კრივის, MMA-ს, მაგიდის ჩოგბურთის, ტანვარჯიშის და ფარიკაობის დარბაზები.

მრავალფუნქციური კომპლექსი ასევე მოიცავს: მედიათეკას, ქორეოგრაფიულ, სახელოვნებო, ფოლკლორის და უცხო ენების სივრცეებს, სტემ-კლუბს, ღონისძიებების მრავალფუნქციურ სივრცეს, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ ზონებს.



## წერილი სენაკიდან

# რატომ აირჩია ჩვენმა დიდმა პატრიარქმა თავის მოსაყდრედ მიტროპოლიტი შიო მუჯირი?!



**ერთობ აქტუალური თემაა, ვინ იქნება მომავალი პატრიარქი? საჯარო სივრცეში ცხარე მსჯელობა მიმდინარეობს ამ საკითხზე და იწერება ბევრი მოსაზრება. მათი განხილვა არ არის ჩემი მთავარი მიზანი, რადგან საზოგადოებამ უკვე ნახა, შეიგრძნო, გაითავისა, მუხლზე დაჩოქილმა მიაცილა სიონის საკათედრო ტაძრამდე პატრიარქი ილია მეორე და დღემდე არ წყდება ჭეშმარიტ მორწმუნე მართლმადიდებელთა მისვლა, თავდახრა, მუხლმოდრეკა და ყვავილებით შემკობა მისი უნეტარესობის სასუფევლისა. ასეთ დროს და ამგვარ ვითარებაში, თავს უფლებას ვერ მივცემ ვთქვა, რომ უფალთან ყველაზე ახლოს მდგომმა ქართველმა და ერის სულიერმა მამამ შეცდომა დაუშვა, როცა მოსაყდრედ შიო მუჯირი აირჩია.**

**...ამაზრზენია, როცა გესმის და სოციალურ ქსელში კითხულობ „პატრიარქის არჩევნებში მოსაყდრის მონაწილეობა კანონდარღვევაა!" „მეუფე შიომ საპატრიარქო „ოცნების" განყოფილებად აქცია!" და სხვ.**

**ღმერთგამწყრალებს თუ დავუჯერებთ, მიტროპოლიტი შიო მუჯირი იმიტომაც არ იმსახურებს ნდობას, რომ რუსეთში მიიღო უმაღლესი საეკლესიო განათლება! სად მიიღო უმაღლესი განათლება ჩვენმა ნამეგულმა პატრიარქმა, წმინდანად შერაცხულმა ამბროსი ხელაიამ? – რუსეთში... სად განისწავლნენ გაბრიელ ქიქოძე და პატრიარქი კირიონ ღვთისკაცი? – რუსეთში.**

რუსეთში არსებობდა და არსებობს უძლიერესი მართლმადიდებლური აკადემიები. ამიტომაც ღირსეულები მიდიან და ცოდნას იქ ეუფლებიან. ასე, რომ „რუსული" იარლიყის მიკერება, თითიდან გამოწოვილი ბრალდებაა, ჭიქაში ქარიშხლის პოვნის მცდელობა. ამგვარი შეფასებები მოსახლეობაში უკვე აღარ მუშაობს.ისწავლა ხალხმა თეთრისა და შავის გარჩევა.

**ჭყონდიდის, ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტი მეუფე სტეფანე, გარკვევით აცხადებს, რომ „ვერცერთ მღვდელმთავარს ვერ ეტყვიან, ვინმეს ზეწოლით მოქმედებ ან შეგეშინდა ვინმესიო. მე ვენდობი პატრიარქის გადაწყვეტილებას, ვენდობი და მიმაჩნია, რომ არჩევანიც არ მაქვს გასაკეთებელი. პატრიარქის არჩევანი ჩემთვის მნიშვნელოვანია. მან გამოარჩია მოსაყდრე. ვხედავთ მის საქმიანობას და მე მაკმაყოფილებს მეუფე შიო. ეს არ არის არჩევანის ფარულობის დარღვევა, მე უბრალოდ ასეთი აზრი მაქვს"!**

რასაკვირველია, იქნებიან მღვდელმთავრები, რომელთაც საკუთარი კანდიდატურა ეყოლებათ პატრიარქის პოსტზე. ეს მისაღებია. მაგრამ მეუფე შიოს გამორიცხვა, მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთში მიიღო უმაღლესი სასულიერო განათლება და იქვე დაიცვა სამეცნიერო ხარისხი – უბრალოდ, სისულელეზე მეტია. მკითხველს წარსულის ერთ მგრძნობიარე ეპიზოდს შევთავაზებ სული წმინდა პატრიარქის ცხოვრებიდან, რომელიც სამეგრელოსთან გახლავთ დაკავშირებული. მეტ-ნაკლებად ცნობილია, რომ ილია მეორის პირადი მოძღვარი გახლდათ სენაკში მოღვაწეი ღუმენი მამა შიო ძიძავა. მათი ურთიერთობა მაშინ დაიწყო, როცა ილია მეორე ბათუმის მთავარეპისკოპოსი გახლდათ.

### ილია II-ის მოგონებიდან:

**„მარხვებში ჩამოდიოდა და რჩებოდა, მაგალითად, 1 თვით და მერე კვლავ სენაკში ბრუნდებოდა. ასე ამბობდა: "სენაკში სახლი მაქვს, რომლის კარი არასოდეს იკეტება და თუ ვინმე მივა, თავისუფლად შეუძლია შევიდეს და მოისვენოს". მისი სახლი სულ ერთი პატარა ოთახისგან შედგებოდა, სადაც ორი რკინის საწოლი, მაგიდა და რამდენიმე სკამი ედგა, სხვა არაფერი – არც თეთრეული ჰქონდა და არც სხვა კომფორტი. ასეთი ცხოვრების წესი წარმოაჩენდა მის სიმდაბლეს და უბრალოებას. ძალიან ფაქიზი პიროვნება იყო. მახსენდება, როგორ იბარებდა ჩემგან აღსარებას.**

**როცა შეამჩნევდა, რომ ძალიან ვწუხდი ჩემს ცოდვებზე, აუცილებლად გამამხნევებდა და მეტყოდა: „მეუფეო, ღმერთმა შეგინდოს, მეც ჩამიდენია ასეთი ცოდვა". დარწმუნებული ვარ, მას ასეთი რამ არასდროს შემთხვევია, მაგრამ ჩემთვის მდგომარეობა რომ შეემსუბუქებინა, თვითონაც იბრალებდა ჩემს ცოდვებს. მოგვიანებით, როდესაც სოხუმში გადამიყვანეს, მამა შიო იქაც ჩამოდიოდა. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში სამღვდელოება არ გვაკლდა, ამიტომ მხოლოდ აღსარების მისაღებად გვეწვეოდა ხოლმე.**

**განსაკუთრებით საოცარი იყო მისი ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი. წესად მაქვს, რომ დიდ ხუთშაბათს განსაკუთრებით ვემზადები ზიარებისთვის და ოთხშაბათს აუცილებლად ვაბარებ აღსარებას. ეს კარგად იცოდა მამა შიომ. მახსოვს, იგი უკვე ცუდად იყო, ამიტომ აღარ ველოდი მის ჩამოსვლას. რეზიდენციის ეზოში ვიჯექი, უეცრად მოვიხედე და ვხედავ, ორ ადამიანს მოჰყავს უძლური მამა შიო. გავიფიქრე, ნეტავ რა საქმე აქვს, რომ ასეთი ავადმყოფი შეწუხდა-მეთქი. ის კი მოვიდა და მითხრა: „მეუფეო, აღსარებისთვის მოემზადე!" წარმოიდგინეთ, ასეთი მძიმე ავადმყოფი ჩემთან აღსარების მისაღებად ჩამოვიდა! აღსარება ვუთხარი. ძალიან მძიმედ იყო, მოძრაობა უჭირდა, ვიფიქრე, ალბათ დარჩება-მეთქი, მაგრამ არ დარჩა. იმავე დღეს უკან წაიყვანეს... ამ ამბის შემდეგ ერთი კვირის თავზე სოხუმში დები შუშანიები და მათთან ერთად სხვა მორწმუნეები ჩამოვიდნენ. შუშანიებმა მითხრეს: "მამა შიო ძალიან ცუდადაა და სულ იძახის: „მეუფე, მეუფე!" – ალბათ, თქვენ გიხმობთ და არავის იკარებს". სასწრაფოდ მის მოსანახულებლად გავემგზავრე, თან დეკანოზი მაქსიმე კონცევიჩი წავიყვანე; ყოველი შემთხვევისთვის, თან წავიღეთ წმინდა ზიარება. მამა შიოსთან ჩავედით, მძიმედ იყო. მუცელი აწუხებდა და ტკივილისგან ყვიროდა.**

**საჩქაროდ მოვუხმეთ მამა კონსტანტინეს, რომ ავადმყოფი ეზიარებინა. მამა კონსტანტინემ თავი შეიკავა მისი ზიარებისგან: წყალი აქვს დალეული და არ შეიძლებაო. ვცადე, დამერწმუნებინა, რომ ყველა შემთხვევაში შეიძლებოდა მძიმე ავადმყოფის ზიარება, მაგრამ ვერაფრით დავაჯერე. ბოლოს შევედი მამა შიოსთან და ვკითხე: „მამაო, გინდა, მე თვითონ გაზიარებ?" უმალ დამთანხმდა: „ჰო, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!" ეშინოდა, უზიარებლად არ გასულიყო ამ ქვეყნიდან. ლოცვებს ვუკითხავდი, თან ვშიშობდი: ვაითუ ზიარება ვერ მოასწროს-მეთქი და სულ ოფლში ვიწურებოდი.**

**ღვთის წყალობით, მამა შიო ეზიარა. მე გვერდით სკამზე მივუჯექი, მაშინ მან პატრიარქობა მიწინასწარმეტყველა. გადმომხედა, ხელი შემახო მუხლზე და მომეალერსა: „ჩემო პატრიარქო!" „მე პატრიარქი არ ვარ, მიტროპოლიტი ვარ-მეთქი", – შევუსწორე. მან კი კვლავ გამიმეორა: „პატრიარქო, პატრიარქო!"... მამა შიო იმ ღამითვე გარდაიცვალა"...**

* * *

**ილია მეორემ, მოძღვარი შიო სათანადოდ დააფასა. კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს სთხოვა, იღუმენი მამა შიო ძიძავა დაეჯილდოვებინა არქიმანდრიტის წოდებით.**

უფრო მეტიც, პატრიარქი ილია მეორე იყო ერთ-ერთი გამგრძელებელი მონაზვნური, ბერული ცხოვრებისა, ათონურ ცხოვრების წესთან, რომელიც დამკვიდრებული იყო სენაკში. მისი მოძღვარი, მამა შიო ძიძავა სწორედ იქ მოღვაწეობდა. იქ მოღვაწეობდა არქიმანდრიტი კონსტანტინე ქვარაია და წმინდა ბერი ალექსი შუშანია, რომელიც იყო საწყისი და გამგრძელებელი საქართველოში ათონური მონაზვნური ცხოვრებისა.

პატრიარქობის ჟამს ილია მეორე, როცა სამეგრელოში იმყოფებოდა, აუცილებლად მოინახულებდა მამა შიოს საფლავს და თბილ მოსაგონარს ამბობდა. ადგილობრივები ყვებიან, რომ ილია მეორეს არ სჭირდებოდა ვინმეს გაყოლა. მან ზედმიწევნით კარგად იცოდა დედათა მონასტრის ადგილსამყოფელი, სადაც განისვენებდა მისი მოძღვარი... მგონია, რომ ბრძენმა პატრიარქმა მისი მოძღვრის მოსახელე შიო მუჯირი მიზანმიმართულად, წინასწარგანზრახვით განამწესა სენაკისა და ჩხოროწყუს მთავარეპისკოპოსად. შიო მუჯირის ეპისკოპოსად კურთხევა 2003 წლის 7 სექტემბერს, სვეტიცხოველში მოხდა. მაშინ უწმინდესმა მას უთხრა: მიდიხარ შესანიშნავი ტრადიციების მქონე ეპარქიაში და იქ სიხარული, სიმშვიდე გელოდებაო"!

საეპარქიო რეზიდენციის აშენების კურთხევა ილია მეორემ, შიო მუჯირს დედათა მონასტრის იმ ეზოში დართო, სადაც მიბარებულია მიწას შიო ძიძავა. როცა მოსაყდრე, ანუ ღირსეული თანამოაზრე დასჭირდა, ამოირჩია ის მიტროპოლიტი, სენაკში მოღვაწე, რომელსაც შიო ძიძავასავით ენდობოდა და ეიმედებოდა, ვისაც ღირსეულ სულიერ შვილად მიიჩნევდა!

პატრიარქი ილია მეორე იყო ერის ღირსეული სულიერი მამა, ადამიანების მეოხი და სწორი გზის გამკვალავი. ჩემი აზრით, მისი იდეებისა და დაწყებული საქმეების ღირსეული გამგრძელებელი იქნება მეუფე შიო მუჯირი. ნიშანდობლივია, რომ ათეული წლების განმავლობაში პატრიარქის პირადი ექიმი გახლდათ სენაკელი ცისანა შარტავა. ცოდნით, სათნოებითა და ღვთიურობით გამორჩეული ქალბატონი, ჩვენი ეროვნული გმირის ჟიული შარტავას და.

**როგორც ვხედავთ წმინდა სამების მსგავსად, შეიკრა სამკუთხედი: პატრიარქის მოძღვარი სენაკელი შიო ძიძავა, მოსაყდრე მიტროპოლიტი შიო მუჯირი და მკურნალი ექიმი ცისანა შარტავა. უფალო, შენი მადლიანი კალთა გადააფარე სრულიად საქართველოს!!!**



**ბორის დავითაია,**
მწერალი, სენაკის საპატიო მოქალაქე, გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი.

# გიორგი ვოლსკი: ეკლესიაზე დარტყმის ახალი ტალღა იგეგმება!



**„ეკლესიაზე დარტყმის ახალი ტალღა იგეგმება, ვინაიდან ეს წარმოადგენს სერიოზულ ფუნდამენტს ნებისმიერი სახელმწიფოსთვის – მე არ მგონია, რომ ეს რაიმე წარმატებით დამთავრდეს,"** – ასე შეაფასა ჟურნალისტებთან საუბრისას პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილე **გიორგი ვოლსკიმ** ეკლესიასთან დაკავშირებით „ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის **თინა ბოკუჩავას** განცხადება.

ვოლსკის თქმით, კოლექტიურ „ნაცმოძრაობას" ყველა საკითხთან დაკავშირებით ძალიან ბნელი წარსული აქვს.

**„რაც შეეხება ეკლესიაში შეღწევის თემას – ურთულესი ამოცანა დაისახეს. მე არ მგონია, რომ ამასთან დაკავშირებით ჰქონდეთ რაიმე სინანულის განცდა იმაზე, რაც თქვეს, როგორც იმოქმედეს ეკლესიის მიმართ, რა პოზიციაც გამოხატეს და ვის დავალებებს ასრულებდნენ. არავითარი სინანული არ არის. ეკლესიაზე დარტყმის ახალი ტალღა იგეგმება, ვინაიდან ეს წარმოადგენს სერიოზულ ფუნდამენტს ნებისმიერი სახელმწიფოსთვის. რწმენა, ისტორიული მემკვიდრეობა, ტრადიცია, რომელსაც ეკლესია წარმოადგენს, რასაკვირველია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დედაბოძია ნებისმიერი ქვეყნის სიმყარისთვის. ამაზე მიდის ახლა შეტევა და თითქოსდა, აქ შემოსვლის თემას ავითარებენ. მე არ მგონია, რომ ეს რაიმე წარმატებით დამთავრდეს. ძალიან მძიმეა დანაშაული ამ მიმართულებით, თუნდაც ეკლესიასთან დამოკიდებულების საკითხები ავიღოთ, თუნდაც საქართველოს ხალხის, საზოგადოების, ისტორიული მემკვიდრეობის. ყველა საკითხთან დაკავშირებით ძალიან ბნელი წარსული აქვს კოლექტიურ „ნაცმოძრაობას",** – აღნიშნა მან.




**შეგახსენებთ,** „ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის **თინა ბოკუჩავას** მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, ოპოზიციას აქვს საერთო გზავნილის პრობლემა და ისინი არ ცდილობენ მართლმადიდებლური სარწმუნოების მოედანზე შესვლას ქართველ ერთან, რათა დაანახონ საზოგადოებას, რომ ისინი „უღმერთოები და ურწმუნოები" არ არიან.

# ირაკლი კობახიძე ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს შეხვდა



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს მაიკლ ო'ფლაერტის შეხვდა.**

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრისას საუბარი შეეხო საქართველოსა და ევროპის საბჭოს შორის არსებულ მჭიდრო თანამშრომლობას და 2024-2026 წლების ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესს.

**„პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვისადმი საქართველოს მთავრობის მტკიცე ერთგულება. აღინიშნა, რომ ქვეყანაში უზრუნველყოფილია მედიაპლურალიზმი, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, რაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით. მხარეებმა ასევე ისაუბრეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ რთულ ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე და საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივებზე, რომლებიც მიმართულია ნდობის აღდგენისკენ“**, — ნათქვამია ოფიციალურ ინფორმაციაში.

# შალვა პაპუაშვილი: ბრიუსელის გზა ევროპულ ღირებულებებს ასცდა!

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის გუშინდელი განცხადებით, თურქეთში, საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) 152-ე ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას ისაუბრებს გარე ჩარევის საფრთხეებზე ერთიანი მიდგომის საჭიროებაზე.**

**„დღეს იქნება ასამბლეის ძირითადი დღე, როცა გვექნება შესაძლებლობა, ორმხრივ ფორმატში გავმართოთ შეხვედრები, მათ შორის შეხვედრა შედგება ლუქსემბურგის პარლამენტის თავმჯდომარესთან, რეგიონის პარლამენტის თავმჯდომარეებთან. იქნება შესაძლებლობა, ასამბლეას სიტყვით მივმართო. კონფერენციაზე ჩვენი მთავარი სათქმელი ის ახალი საფრთხეებია, რომლებიც ყველა ქვეყანაში კარგად ჩანს. ყველა ქვეყანა ცდილობს, საკუთარი, ეროვნული ინტერესები გარე ჩარევებისგან დაიცვას და ამ მხრივ ერთიანი მიდგომის საჭიროებაზე ვისაუბრებ, რომ გარე ჩარევის ჰიბრიდულ საფრთხეებს ერთგვაროვანი პასუხი გაეცეს. ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან იქნება მსჯელობა საქართველო-ევროკავშირს შორის ურთიერთობებზე, იმ სამწუხარო მოცემულობაზე, რასაც ბრიუსელის მხრიდან ვხედავთ. სამწუხაროდ, დიალოგის რეჟიმს კეტავენ და ცალმხრივი დირექტივების მიდგომაა, რომელიც სულ უფრო მძლავრია ბრიუსელში. ამიტომ მნიშვნელოვანია, ხმა მივაწვდინოთ ევროკავშირის წევრი ქვეყნების პარლამენტებს და ვაჩვენოთ, რომ გზა, რომელიც დღეს აქვს ბრიუსელს არჩეული საქართველოსთან და კანდიდატ ქვეყნებთან მიმართებით, სრულად აცდენილია ევროპულ ღირებულებებს. მნიშვნელოვანია, ევროპულმა პარლამენტებმა ამ მხრივ საკუთარი პოზიციებიც აჩვენონ“**, — განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის **შალვა პაპუაშვილის** განცხადებით, სტამბოლში ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები ექნება რეგიონის პარლამენტების თავმჯდომარეებთან, მათ შორის შეხვედრას გამართავს სომხეთისა და აზერბაიჯანის პარლამენტების თავმჯდომარეებთან, რომლებთანაც რეგიონის მნიშვნელობაზე ისაუბრებს.

**„რა თქმა უნდა, შეხვედრები იქნება რეგიონის პარლამენტების თავმჯდომარეებთან. დღეს სომხეთისა და აზერბაიჯანის პარლამენტების თავმჯდომარეებს შევხვდები და ვისაუბრებთ რეგიონის მნიშვნელობაზე იმ საერთაშორისო უსაფრთხოების გამოწვევების ფონზე, რასაც დიდ რეგიონში ვხედავთ. ის, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სამშვიდობო შეთანხმების პარაფირება მოხდა, წინ მიდის ორმხრივი ურთიერთობები, იმედს გვაძლევს, რომ ჩვენი რეგიონი, რომელიც არის ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, სტაბილურად მომავალშიც შეასრულებს თავის ფუნქციას“**, — განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

***გუშინ საღამოსვე შევიტყვეთ, რომ შალვა პაპუაშვილმა და საქართველოს დელეგაციის წევრებმა მაღალი რანგის ოფიციალური შეხვედრები წარმატებით ჩაატარეს!***

**ენგურჰესი, რომელიც პროექტით პიკური სადგურია, ბოლო წლების განმავლობაში ბაზისურ რეჟიმში მუშაობს, რაც ეკონომიკურად და ტექნიკურად გაუმართლებელია. წელს საქართველოს მთავარი ჰესის მიერ გამომუშავებული ენერგიის 97% სეპარატისტულმა აფხაზეთმა წაიღო. ჩვენს ენერგოსისტემას კი დეფიციტის შევსება ძვირი იმპორტით უწევს.**



# ენგურჰესი, ტექნიკური თვალსაზრისით, მუდმივად პრობლემურია!

**ენერგეტიკოსი**, კომპანია „საქართველოს განახლებადი ენერგიების“ დირექტორი **დავით მირცხულავა** აცხადებს, რომ ენგურჰესის წყალსაცავში წყლის დონე „მკვდარი მოცულობის“ 440-მეტრიან ნიშნულზე გაცილებით დაბლაა ჩამოსული, რაც სისტემურ პრობლემად იქცა.

**„წყლის დონე არის საკმაოდ დაბალი და ხშირ შემთხვევაში, ნორმალური შეტბორვის დონეზე დაბლა მოდის. ეს არის 440-იანი ნიშნული — მკვდარი მოცულობის დონეზე უფრო დაბლა. დღესდღეობით, რამდენადაც ვიცი, იყო 411, ახლა არის 415 მეტრამდე. მიმაჩნია, რომ არ შეიძლება ასეთ დაბალ ნიშნულებზე ენგურჰესი მუშაობდეს. ეს მუშაობა სისტემურ ხასიათს იღებს და მაღალი რისკების შემცველია აგრეგატებისთვის. ეს არამარტო არაეფექტურია, არამედ დაუშვებელია“**, — განაცხადა **მირცხულავამ**.



მისი განმარტებით, ენგურჰესის მთავარი ფუნქცია პიკურ საათებში ენერგიის გამომუშავება უნდა იყოს, თუმცა რეალობა განსხვავებულია.

**„სადგური არის პიკური და მას, როგორც პიკურ სადგურს, უკვე მრავალი წელია ვეღარ ვამუშავებთ. ფაქტობრივად, მთელი ზაფხულის განმავლობაში ის მუშაობს, როგორც ბაზისური ან ნახევრად ბაზისური სადგური. 24 ან 18 საათი რომ მუშაობს, შედეგად ვიღებთ იმას, რომ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ენგური ყოველთვის არის „დამუშავებული“ (წყლისგან დაცლილი).**

**პიკური ენერგია საერთოდ ყველაზე ძვირად ღირებულია. მაგალითად, როცა პიკურ იმპორტს ვახორციელებთ რუსეთიდან ან თურქეთიდან, იქ ენერგია ხშირად 9 ცენტზე მეტი ღირს. ჩვენ კი გვაქვს საშუალება, ეს სადგური პიკურ რეჟიმში გამოვიყენოთ, რაც გაცილებით ეფექტური იქნებოდა“**, — განუცხადა „ბიზნეს მედიას“ **მირცხულავამ**.

# ვყიდულობთ ძვირად, ვაძლევთ იაფად!

რაც შეეხება ოკუპირებული აფხაზეთის მოხმარებას და განაწილების 60/40-ზე შეთანხმებას, ენერგეტიკოსი ამბობს, რომ წლებია, ეს ირღვევა.

**„მრავალი წელია, მუდმივად ირღვევა ეს პროპორცია და ოკუპირებული აფხაზეთის მხარე გაცილებით მეტს იღებს. ვფიქრობ, შესაძლებელია მათთან დალაპარაკება, რადგან არ შეიძლება სადგურმა ასე გააგრძელოს არაოპტიმალურ რეჟიმში მუშაობა“**, — აღნიშნა **მირცხულავამ**.



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის (ესკო) 2026 წლის საბალანსო მაჩვენებლების მიხედვით, მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში „ენგურჰესისა“ და „ვარდნილჰესების“ კასკადის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 97% სწორედ აფხაზეთმა წაიღო. ენერგეტიკოსი **თემურ ჭიჭინაძე** დაუფარავად აცხადებს, რომ ზეპირსიტყვიერი შეთანხმება, რიგ შემთხვევებში, იმ მასშტაბითაც ირღვეოდა, რომ აფხაზეთს „ენგურჰესის“ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 100%-ც კი რჩებოდა.

**„იყო მომენტები, როდესაც აფხაზეთს გამომუშავებული ელექტროენერგიის 100%-ც კი მიჰქონდა. 60/40-ზე პრინციპმა მხოლოდ რამდენიმე წელი იმუშავა, შემდეგ კი პროპორცია გაიზარდა. ნამდვილად მიჭირს იმის თქმა, რატომ სჭირდება აფხაზეთს ასეთი დიდი რაოდენობით ელექტროენერგია, როცა იქ არც წარმოებაა და არც მრეწველობა. ერთადერთი, რაც აფხაზეთში განვითარდა, მაინინგები და რუსეთის სამხედრო ბაზებია.**

**„ენგურჰესის“ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფი ყველაზე დაბალია, მაგრამ ის, ძირითადად, აფხაზეთისკენ მიდის და ჩვენს ბაზარზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს. იმიტომაცაა, ტარიფების გაუგებარი 5-თეთრიანი ზრდა რომ გვაქვს. ყველაზე იაფად გამომუშავებულ ელექტროენერგიას სხვას ვაძლევთ და ჩვენ ვყიდულობთ ძვირად. რატომ ირღვევა ეს შეთანხმება?! გასაგებია, რომ პოლიტიკური მომენტები არსებობს, სარგებლობენ იმით, რომ დე ფაქტო მართვა მაგათ ტერიტორიაზეა. დაგვრჩება ჩვენ მიერ გამომუშავებული კიდევ უფრო ნაკლები ელექტროენერგია და ვიქნებით ისევ იმპორტზე დამოკიდებულები. წარმოიდგინე, შენ უნდა იყიდო ძვირად, რადგან გაუგებრად აძლევ იაფს სხვას“**, — აღნიშნა **თემურ ჭიჭინაძემ**.

**ბექა დანელია**

საქართველოს რესპუბლიკა



# სასკოლო ფორმები– უფასოდ!

## გივი მიქანაძე:

## ყველა იმ ოჯახის მოსწავლე, რომლის სოციალური მდგომარეობა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შეფასებულია 60 000 ან ნაკლები ქულით, სასკოლო ფორმას უსასყიდლოდ მიიღებს




**გამოცხადებულია ბაზრის კვლევა, რომლის მიზანიც ყველაზე დაბალი ფასის იდენტიფიცირებაა, რათა ამ ფასით მოხდეს შემდგომში სასკოლო ფორმების დაკვეთა და შესყიდვა,** – ამის შესახებ განათლების მინისტრმა **გივი მიქანაძემ** განაცხადა.

მისივე თქმით, სასკოლო ფორმის დიზაინზე დიზაინერთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი მუშაობდა.

**„ზოგადი განათლების სისტემის რეფორმის ფარგლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას წარმოადგენს საჯარო სკოლებში დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებისთვის სასკოლო ფორმების შემოღება. აღნიშნული გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს როგორც სწავლაზე ორიენტირებული ატმოსფეროს შექმნას, ასევე მოსწავლეებს შორის სოციალური და ეკონომიკური განსხვავებების შემცირებას.**

**სიახლე მნიშვნელოვანი წინაპირობაა იმისა, რომ საქართველოს სკოლებში დამკვიდრდეს სასკოლო ფორმის ისეთი კულტურა და ტრადიცია, რომელიც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემებისთვის არის დამახასიათებელი.**

**საჯარო სკოლების საგანმანათლებლო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით, როგორც ცნობილია, სამინისტროს დაქვემდებარებაში უკვე ფუნქციონირებს ახალი სტრუქტურული ერთეული – შპს „საგანმანათლებლო რესურსები“, რომელიც მომავალი სასწავლო წლიდან დაწყებითი საფეხურისთვის სასკოლო ფორმების შესყიდვასა და რეალიზაციას უზრუნველყოფს.**

**მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო ფორმის დიზაინზე დიზაინერთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი მუშაობდა. რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ შეირჩა ერთ-ერთი კონკრეტული დიზაინი. ამჟამად გამოცხადებულია ბაზრის კვლევა, რომლის მიზანიც ყველაზე დაბალი ფასის იდენტიფიცირებაა, რათა სწორედ ყველაზე დაბალი ფასით მოხდეს შემდგომში დაკვეთისა და შესყიდვის განხორციელება, რათა ზაფხულის ბოლოსთვის ჩვენმა მოქალაქეებმა ბავშვებისთვის ფორმების შეძენა შეძლონ.**

**ამასთანავე, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ყველა იმ ოჯახის მოსწავლე, რომლის სოციალური მდგომარეობა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შეფასებულია 60 000 ან ნაკლები ქულით, სასკოლო ფორმას უსასყიდლოდ მიიღებს“,** – განაცხადა **მიქანაძემ.**

* * *

**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შპს „საგანმანათლებლო რესურსებმა“ 2026–2027 სასწავლო წლისთვის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების სასკოლო ფორმის ტანსაცმლის შესყიდვაზე ბაზრის კვლევა გამოაცხადა.**

როგორც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით ირკვევა, მიწოდება ორ ეტაპად განხორციელდება. **პირველი ეტაპი – საქონლის არანაკლებ 30%-ის მოწოდება არაუგვიანეს 2026 წლის 31 ივლისისა; მეორე ეტაპი – საქონლის დარჩენილი რაოდენობა არაუგვიანეს 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით.**

**„მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის შეუფერხებელი მიწოდება, ასევე, ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების უზრუნველყოფა თავისივე ხარჯით; მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველ ორგანიზაციასთან დააზუსტოს თითოეული ტიპის საქონლის თარგი, ფერი, ასევე ბრენდირება (მათ შორის წარწერა, ლოგო, ფერი, ზომები და ა.შ.), სხვა შესაბამისი დეტალები და მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციის თანხმობის საფუძველზე დაიწყოს საქონლის წარმოება/შეკერვა. ბაზრის კვლევაში მონაწილეს ან მის ქვეკონტრაქტორს (საქონლის ქარხანა დამამზადებელს) 2022 წლის 01 იანვრიდან ბაზრის კვლევის დასრულების დღის ჩათვლით უნდა გააჩნდეს ტანსაცმლის შეკერვის ან/და მიწოდების ან/და რეალიზაციის არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის გამოცდილება, რომლის დამადასტურებლად წარმოდგენილი უნდა იქნეს ხელშეკრულებ(ებ)ი და ამ ხელშეკრულებ(ებ)ის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი ან/და დადასტურებული ანგარიშფაქტურ(ებ)ი,“** – ასეთია ზოგადი მოთხოვნები, რომელსაც შპს „საგანმანათლებლო რესურსები“ აყენებს.

**წინადადებების მიღება მიმდინარე წლის 21 აპრილს დაიწყება და 22 აპრილის დღის 12:00 საათზე დასრულდება.**



# საქართველო სათავგადასავლო ტურიზმისთვის იდეალური მიმართულებაა

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით თბილისში საერთაშორისო ბიზნესსამიტი – B2B Summit by Tarifa გაიმართა, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენას და საერთაშორისო პარტნიორობების გაღრმავებას. სამიტი ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს მიერ ჩატარდა და მასში ევროპის ქვეყნებიდან 50-მდე საერთაშორისო გაიერი და საქართველოს მხრიდან 40 ტურისტული კომპანია მონაწილეობდა.**

კომპანია „Outway Adventures“-ის დამფუძნებელმა და აღმასრულებელმა დირექტორმა პაველ გლუზამ აღნიშნა: **„ჩვენი კომპანიის ძირითადი მიმართულება სათავგადასავლო ტურიზმია და საქართველო ამისთვის იდეალური ადგილია. მართლაც გასაოცარია, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით, აქ მცირე ფართობზე ყველაფერია თავმოყრილი, რაც მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ თქვენს ქვეყანას უამრავი ადამიანი ეწვევა. ქართული სტუმართმასპინძლობის შესახებ ბევრი მსმენოდა და მქონდა მოლოდინი, რომ აქ ყველაფერი მაღალ დონეზე დამხვდებოდა, თუმცა რეალობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჩამოსვლის დღიდან აღფრთოვანებული ვარ ადგილობრივი სამზარეულოთი და ღვინით. უკვე რამდენიმე საქმიანი შეხვედრაც გავმართე და ნათლად ჩანს, რომ ქვეყანას აქვს ყველა წინაპირობა, სათავგადასავლო ტურიზმისთვის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება გახდეს“.**

# კიდევ ერთი კულტურული კერა რუსთავში

**რუსთავში გასული საუკუნის 50-იან წლებში აშენებული კულტურის სახლის ისტორიული შენობის სრული რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტი დასრულების ეტაპზეა.**



ინფრასტრუქტურული პროექტის მიმდინარეობას, რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე სამუშაო ფორმატში ადგილზე გაეცნო.

**„ჩვენს ქალაქში, 1948 წელს კლასიციზმის არქიტექტურული სტილით ნაშენებ შენობას, რესტავრაცია-რეაბილიტაციისას ავთენტური იერსახე შევუნარჩუნეთ. კულტურის სახლის განახლებასთან ერთად, ჩვენ ახალ კონცეფციაზე ვიმუშავეთ. პროექტის დასრულების შემდეგ, რუსთავში კიდევ ერთი კულტურული კერა გაჩნდება, რომელიც ჩვენი ახალგაზრდებისთვის ახალ შესაძლებლობებს შექმნის“,** – განაცხადა რუსთავის მერმა **ნინო ლაცაბიძემ.**

ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით, რუსთავისთვის უპრეცედენტო მასშტაბის პროექტის მიხედვით, თანამედროვე საკონცერტო დარბაზი აშენდა, შიდა სივრცის რეაბილიტაცია და შენობის ფასადის რესტავრაცია განხორციელდა, ეწყობა გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის, გახმოვანება-განათების სისტემები და შენობა უზრუნველყოფილი იქნება თანამედროვე სასცენო აპარატურით. გარე პერიმეტრი დეკორატიული ფილებით მოპირკეთდება, მოეწყობა მწვანე სივრცეები და დასასვენებელი ზონა.

# საკურას ყვავილობას „იასამნობა“ მოჰყვა

**ბოტანიკურ ბაღში არსებული ისტორიული იასამნების საკოლექციო ნაკვეთი საქართველოში ყველაზე მასშტაბურ იასამნების კოლექციას წარმოადგენს. ბოტანიკური ბაღის იასამნების საკოლექციო ნაკვეთი 700-მდე ეგზემპლარს, 113 ჯიშსა და 10-მდე სახეობას ითვლის.**

1970 წელს შექმნილი და 2019 წელს განახლებული უნიკალური კოლექცია ასახავს ქვეყნის ბოტანიკურ მემკვიდრეობას და მრავალწლიანი კვლევისა და მოვლის შედეგს. იასამნების მრავალფეროვნება, სურნელი და გაზაფხულის ფერები ბაღს განსაკუთრებულად მიმზიდველს ხდის, როგორც ადგილობრივი დამთვალიერებლებისთვის, ისე ტურისტებისთვის.

# იმოგზაურე საქართველოში ალექსანდრე დიუმასთან ერთად

## საქართველო საგანგებო სტუმარი პარიზის წიგნის ფესტივალზე

**კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, გრან პალეში (Grand Palais) ეროვნულ სტენდზე მწერალთა სახლი წარმოდგენილი იქნება მრავალფეროვანი ლიტერატურული და კულტურული პროგრამით, ფრანგულ ენაზე თარგმნილი 120-ზე მეტი გამოცემით და 10-მდე გამომცემლობით.**

წელს ქართული სტენდის კონცეფცია აგებულია ცნობილი ფრანგი მწერლის **ალექსანდრე დიუმას** წიგნის – **„მოგზაურობა კავკასიაში“** მოტივებზე. სლოგანით – „იმოგზაურე საქართველოში ალექსანდრე დიუმასთან ერთად“ ეროვნულ სტენდზე წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს თანამედროვე და კლასიკურ ქართულ ლიტერატურას, კინოჩვენებებს, საბავშვო ღონისძიებებს, მუსიკალურ საღამოსა და კულინარიულ პრეზენტაციებს.

ფესტივალის ფარგლებში გაიმართება: წიგნების პრეზენტაციები და შეხვედრები ავტორებთან, პანელური დისკუსიები, კინოჩვენებები, მუსიკალური ღონისძიებები, საქმიანი შეხვედრები უცხოელ გამომცემლებთან. ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება ფრანგულ ენაზე თარგმნილი მხატვრული ლიტერატურა, სამეცნიერო-პოპულარული და კრიტიკული ნაშრომები, საბავშვო წიგნები, ალბომები ქართული ხელოვნების შესახებ, სპორტული და კულინარიული ლიტერატურა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქართული ლიტერატურის 16-საუკუნოვანი ტრადიციის წარმოჩენას – საქართველოს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან 1 700 წლისთავთან დაკავშირებით.



# პეტერ მადიარის „ცუდი ხუმრობა“ აღსრულდა!




**პეტერ მადიარი უნგრეთის მესამე რესპუბლიკის მეცხრე პრემიერ-მინისტრად აირჩიეს. იმის გათვალისწინებით, რომ ვიქტორ ორბანი ქვეყანას არათანმიმდევრული ვადებით მართავდა, 1989-1990 წლების რეჟიმის ცვლილების შემდეგ მხოლოდ რვა ადამიანმა გამოცადა, რას ნიშნავდა, ყოფილიყო ქვეყნის მთავრობის მეთაური. გთავაზობთ 10 ყველაზე საინტერესო ფაქტს უნგრეთის მომავალი პრემიერ-მინისტრის შესახებ:**

## 10 საინტერესო ფაქტი უნგრეთის მომავალი პრემიერ-მინისტრის, პეტერ მადიარის შესახებ

### პეტერ მადიარის ნათლია უნგრეთის ყოფილი პრეზიდენტი იყო

**მადიარი გავლენიანი იურისტებისა და ადვოკატების ოჯახიდანაა. მან კარიერა თავადაც ადვოკატობით დაიწყო. მისი მაღალი დონის ოჯახური კავშირების დასტურია ის ფაქტიც, რომ მისი ნათლია ფერენც მადლია, რომელიც 2000-დან 2005 წლამდე უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტს იკავებდა.**

პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ მადიარმა ერთ-ერთი პირველი, რაც გააკეთა, ყოფილი მეუღლის ფარული ჩანაწერი გამოაქვეყნა. მადიარი დაქორწინებული იყო იუსტიციის ყოფილ მინისტრ იუდიტ ვარგაზე, რომელიც ორბანის ადმინისტრაციაში 2006-დან 2023 წლამდე მსახურობდა. მას შემდეგ, რაც ბავშვთა სახლში სექსუალური ძალადობის დაფარვისთვის მსჯავრდებული პირის შეწყალებასთან დაკავშირებული სკანდალი აგორდა, ვარგა გადადგა და 2024 წლის თებერვალში საზოგადოებრივ ცხოვრებას ჩამოსცილდა. სწორედ ამ დროს მადიარი საჯაროდ გაემიჯნა „ფიდესს“ (Fidesz) და ოპოზიციურ მედიასთან ვრცელ ინტერვიუში ადმინისტრაცია ფართომასშტაბიან კორუფციაში დაადანაშაულა.

კორუფციის დასამტკიცებლად მადიარმა გამოაქვეყნა ჩანაწერები, სადაც ის და მისი ყოფილი მეუღლე მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიებაზე საუბრობდნენ. ჩანაწერი ვარგას დაუკითხავად იყო გაკეთებული. თუმცა, პროკურატურამ ჩანაწერებში ისეთი ვერაფერი აღმოაჩინა, რაც შემდგომ გამოძიებას დაუდებდა საფუძველს.

მან საყოველთაო ყურადღება პირველად 2006 წლის ბუდაპეშტის აქციების დროს, „ოსოდის სიტყვის“ შემდეგ მიიპყრო. პრემიერ-მინისტრი ფერენც დიურჩანი 2006 წლის საპარლამენტო არჩევნებში მინიმალური უპირატესობით იქნა არჩეული. ხუთი თვის შემდეგ პრესაში გაჟონა ფარულმა ჩანაწერმა, სადაც ის პარტიის წევრებთან საუბრისას აღიარებდა, რომ წინასაარჩევნო კამპანიისას მუდმივად ცრუობდნენ და ქვეყნის ფინანსების რეალურ მდგომარეობას მალავდნენ. ამან და დაწესებულმა სიმკაცრის ზომებმა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი დედაქალაქ ბუდაპეშტში, მასობრივი არეულობა გამოიწვია.

ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებამ დემონსტრანტების მიმართ, რომლებიც 23 ოქტომბერს 1956 წლის რევოლუციის წლისთავს აღნიშნავდნენ. მადიარმა თავის ახლო მეგობარ გერგელი გულიაშთან ერთად (რომელმაც მოგვიანებით ორბანის ადმინისტრაციაში მნიშვნელოვანი პოსტები დაიკავა) დააარსა ორგანიზაცია, რომელიც პოლიციის ძალადობის მსხვერპლებს ეხმარებოდა და მათ უფასო იურიდიულ კონსულტაციას უწევდა.

### პეტერ მადიარს პარტია „ტისა“ (Tisza) თავად არ დაუფუძნებია

**პარტია „ტისას“ სახელი უნგრული სიტყვების, „tisztelet“ (პატივისცემა) და „szabadsag“ (თავისუფლება), შერწყმის შედეგია. ეს ორი სიტყვა ერთად უნგრეთის სიდიდით მეორე მდინარის სახელსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქვეყნის პრემიერ-მინისტრ იშტვან ტისას გვარს ემთხვევა. საკმაოდ გონივრული დასახელებაა, არა?**

თუმცა, ამ მომხიბვლელი სახელის მოფიქრება მადიარის დამსახურება არ არის, რადგან ის პარტიის დაფუძნებისას იქ არ ყოფილა. პარტია „ტისა“ 2020 წელს შეიქმნა. მათ ვერ მოახერხეს 2022 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა და უმოქმედოდ იყვნენ. 2024 წელს მადიარს უბრალოდ არ ჰქონდა საკმარისი დრო ევროპარლამენტის კამპანიისთვის საკუთარი პარტიის შესაქმნელად, ამიტომ მან ეს მიძინებული პოლიტიკური ჯგუფი გადაიბარა. ორ წელიწადში მან პარტია ეროვნულ არჩევნებში დამაჯერებელ გამარჯვებამდე მიიყვანა. პეტერ მადიარმა უფრო მეტი ხმა და მანდატი მიიღო, ვიდრე უნგრეთის ნებისმიერმა სხვა კანდიდატმა.

მონაცემთა 98.93%-ის დამუშავების შემდეგ, მადიარის მეთაურობით „ტისას“ პარტიულმა სიამ 3.104 მილიონი ხმა მიიღო - ეს იმაზე მეტია, რაც რეჟიმის შეცვლის შემდეგ უნგრეთის რომელიმე პოლიტიკურ პარტიას მიუღია. წინა რეკორდი „ფიდესს“ ეკუთვნოდა 2022 წლის არჩევნებში (3.06 მილიონი ხმა). ასევე, პროგნოზის მიხედვით, „ტისა“ 138 მანდატს მიიღებს, რაც იმაზე მეტია, რაც „ფიდესს“ ოდესმე ჰქონია 199-ადგილიან პარლამენტში 2014 წლის შემდეგ.

### მას ოჯახურ ძალადობაში ადანაშაულებდნენ

**მადიარის ყოფილმა მეუღლემ იუდიტ ვარგამ პეტერს საჯაროდ დასდო ბრალი ძალადობაში მას შემდეგ, რაც მადიარმა ოპოზიციის რიგებიდან ევროპარლამენტარობაზე განაცხადა პრეტენზია. მალევე პრესაში გამოქვეყნდა 2020 წლის დეკემბრის პოლიციის ოქმი მათ საცხოვრებელში მომხდარი ინციდენტის შესახებ.**

თუმცა, რადგან მადიარი წლების განმავლობაში „ფიდესის“ წრეებში პატივსაცემი ფიგურა იყო და ძალადობაზე მანამდე საუბარი არ ყოფილა, ამომრჩევლის დიდმა ნაწილმა ეს ბრალდებები პოლიტიკურ თავდასხმად მიიჩნია.უკვე ოპოზიციური საქმიანობისას მადიარმა ურთიერთობა დაიწყო ეველინ ფოგელთან. დაშორების შემდეგ ფოგელმაც განაცხადა, რომ მადიარი მასზე ძალადობდა. მან ასევე მადიარის ფარული ჩანაწერები გამოაქვეყნა, სადაც ის საკუთარ მხარდამჭერებს დამამცირებლად მოიხსენიებს.

პეტერ მადიარმა აღიარა, რომ არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე დაესწრო წვეულებას, სადაც ნარკოტიკებს იყენებდნენ, და მაინც გაიმარჯვა. 2026 წლის თებერვალში ამოქმედდა იდუმალი ვებგვერდი radnaimark.hu (სახელი დაერქვა „ტისას“ თავმჯდომარის მოადგილის მარკ რადნაის პატივსაცემად). საიტზე განთავსებული იყო საძინებლის ფოტო წარწერით: „2024 წლის 3 აგვისტო“. მადიარმა იცნო ადგილი და თარიღი, წინასწარ გადადგა ნაბიჯი და Facebook-ვიდეოში აღიარა, რომ იმყოფებოდა წვეულებაზე, სადაც ტუმბოზე იდო „ნივთიერებები, რომლებიც ნარკოტიკებს ჰგავდა“, თუმცა განაცხადა, რომ მას ნარკოტიკი არ მიუღია. მეტიც – მან თქვა, რომ სექსუალური კავშირი ჰქონდა ყოფილ შეყვარებულ ეველინ ფოგელთან, რომელიც იმ დროისთვის მას უკვე ძალადობაში ადანაშაულებდა.

მიუხედავად საზოგადოებრივი მოლოდინისა, არჩევნებამდე არანაირი ვიდეოფირი მადიარის მიერ ნარკოტიკების მოხმარების ან სექსუალური აქტის შესახებ არ გამოქვეყნებულა.

### მისი Facebook-აქტივობა საერთაშორისო ვარსკვლავების მაჩვენებლებსაც კი აჭარბებს!

**როგორც გასულ თვეში ორბანის შანსების შეფასებისას აღვნიშნეთ, მადიარის გამომწერთა რაოდენობისა და მათი ჩართულობის თანაფარდობა ასტრონომიულია. ეს კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა მისი გამარჯვების შემდეგ.**

ამჟამად მას Meta-ს პლატფორმაზე 1 მილიონი გამომწერი ჰყავს. მადლობის პოსტს, რომელიც სულ რამდენიმე საათის წინ გამოქვეყნდა, უკვე 302,000 რეაქცია აქვს. ეს გამომწერთა 30%-იან ჩართულობას ნიშნავს. შედარებისთვის, ისეთ ვარსკვლავების პოსტებს, როგორებიც არიან კრიშტიანუ რონალდუ ან დუა ლიპა, ჩვეულებრივ, გამომწერთა მხოლოდ 1% ეხმიანება.

თავდაპირველად იგი ამბობდა, რომ პოლიტიკაში მისი მოსვლა „ცუდი ხუმრობა“ იქნებოდა.

2024 წლის თებერვლის ინტერვიუში, როდესაც მარტონ გულიაშმა ჰკითხა, აპირებდა თუ არა საჯარო თანამდებობაზე კენჭისყრას „ფიდესთან“ განშორების შემდეგ, მადიარმა პირდაპირ უპასუხა: „ეს ცუდი ხუმრობაა“. თუმცა, მალევე გადაიფიქრა და 2024 წლის არჩევნებში ევროპარლამენტარობის კანდიდატად დარეგისტრირდა. პეტერ მადიარი უნგრეთის ეროვნული დღესასწაულის მომდევნო დღეს დაიბადა. 15 მარტს უნგრელები 1848-1849 წლების რევოლუციასა და ჰაბსბურგების წინააღმდეგ დამოუკიდებლობისთვის ომს აღნიშნავენ. მადიარი 1981 წლის 16 მარტს დაიბადა – დღესასწაულის მეორე დღეს. პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავებისას ის მხოლოდ 45 წლის იქნება.




**პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანის მარცხის მასშტაბები იმდენად დიდია, რომ ის არა მხოლოდ მოულოდნელი, არამედ შოკისმომგვრელიცაა. თუმცა, თავად ფაქტი, რომ მისმა პარტია „ფიდესმა“ (Fidesz) სოლიდური სხვაობით წააგო, სინამდვილეში არავის უნდა გაჰკვირვებოდა.**

## ორბანის მარცხის მთავარი მიზეზი — ზედმეტი თვითდაჯერებულობა!

**დასავლური ელიტები ორბანს ხშირად ავტოკრატად მოიხსენიებენ. სახელმწიფო და კერძო მედიასაშუალებების უმეტესობა კი მას დაუღალავად უჭერდა მხარს, თუმცა ორბანი ზედიზედ სამჯერ ამის გამო არ აურჩევიათ. ის იგებდა იმიტომ, რომ აკეთებდა იმას, რასაც ყველა წარმატებული დემოკრატი პოლიტიკოსი აკეთებს: ქვეყანას აძლევდა მშვიდობასა და კეთილდღეობას და ამასთანავე, პატივს სცემდა ეროვნულ ღირებულებებს.**

2010-დან 2022 წლამდე უნგრეთის ეკონომიკა სტაბილურად იზრდებოდა, რამაც ამ ყოფილ კომუნისტურ ქვეყანას პირველად მოუტანა ფუფუნებისა და კომფორტის განცდა. ქვეყანა არ ჩაება უკრაინის მზარდ კონფლიქტში და ამაყად თქვა უარი იმ მილიონობით ახლოაღმოსავლელი მიგრანტის მიღებაზე, რომლებიც ბოლო ათწლეულში ევროპას მოაწყდნენ. შესაძლოა, ამ პოზიციამ დასავლეთ ევროპის ლიდერების გაღიზიანება გამოიწვია, მაგრამ არ არსებობს მტკიცებულება, რომ რიგით უნგრელებს სხვა რამ სურდათ. პირიქით, ბევრი დღევანდელი ლიდერი ალბათ ნატრობს კიდეც, რომ მათი ქვეყნები უფრო მეტად ჰგავდნენ ორბანის უნგრეთს, როცა იმ შიდა დაძაბულობასთან გამკლავებას ცდილობენ, რაც მათმა წინამორბედებმა მიგრანტების მასობრივი შეშვებით დათესეს.

**ორბანს იმის ფუფუნებაც ჰქონდა, რომ ებრძოლა დისკრედიტებულ, მხოლოდ ბუდაპეშტზე ორიენტირებულ ცენტრისტულ-მემარცხენე ოპოზიციის წინააღმდეგ. უნგრელებმა ეს გზა ჯერ კიდევ 2010 წელს უარყვეს, მას შემდეგ, რაც 2008 წელს სოციალისტებმა ეკონომიკა კრახამდე მიიყვანეს.**

ორბანმა კვირას, 12 აპრილს იმიტომ წააგო, რომ 2022 წლის დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ ყურადღება მოადუნა. კორუფციამ და ნეპოტიზმმა, რაც ისედაც მუდმივი პრობლემა იყო, თვალში საცემი მასშტაბები მიიღო. შეწყალების სკანდალმა კი, რომელსაც პრეზიდენტისა და იუსტიციის მინისტრის გადადგომა მოჰყვა, გააძლიერა განცდა, რომ „ფიდესი“ უკვე ხალხს კი არა, მხოლოდ ვიწრო კლანს ემსახურებოდა.

ორბანმა ვეღარც მატერიალური კეთილდღეობა უზრუნველყო. 2022 წლის შემდეგ უნგრეთში ინფლაცია გაცილებით მაღალი იყო,

**„პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ მწვავედ გააკრიტიკა გაზეთი „ნიუ-იორკ თაიმსი“ მას შემდეგ, რაც რედაქციის კორესპონდენტმა, თეთრ სახლში აკრედიტებულმა ჟურნალისტმა ეჭვის ქვეშ დააყენა აშშ-ის პრეზიდენტის ფსიქიური ჯანმრთელობა და გონებრივი სტაბილურობა“, – ნათქვამია ბრიტანულ გაზეთ „ინდეფენდენთში“** (The Independent) გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით **„დონალდ ტრამპი გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსის“ წინააღმდეგ: „თქვენ ირანთან ომს არასწორად აშუქებთ“** (ავტორი – **იო დოდსი**).

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:**

INDEPENDENT




# ტრამპი გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსის“ წინააღმდეგ

**„ნუთუ მათ საერთოდ არ რცხვენიათ? ნუთუ სრულიად დაკარგეს ზრდილობის გრძნობა?“,** – დაწერა პრეზიდენტმა თავის სოციალურ ქსელში (Truth) მას შემდეგ, რაც **„ნიუ-იორკ თაიმსის“** პოლიტიკური რეპორტაჟების ვეტერანმა, ჟურნალისტმა **პიტერ ბეიკერმა** ტრამპის ქცევა **„უცნაურად“** ჩათვალა, ხოლო მისი კომენტარები – **„ექსტრემისტულად“**.

**დონალდ ტრამპმა,** რომელმაც, როგორც ცნობილია, ოდესღაც საკუთარ თავს **„ძალიან მტკიცე გენიოსი“** უწოდა, **პიტერ ბეიკერის** სტატიას თემატურად პირდაპირ არ უპასუხა, მაგრამ სამაგიეროდ გაზეთი ირანთან ომის არასწორად გაშუქებაში დაადანაშაულა.

საერთოდ, **დონალდ ტრამპი** „ნიუ-იორკ თაიმსის“ მიმართ საკმაოდ მტრულად არის განწყობილი **„ძირგამომთხრელი და შესაძლოა, (ქვეყნისათვის) მოღალატეობრივი“** სტატიების გამოქვეყნების გამო, რომლებშიც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა განიხილებოდა.

**„იმ ადამიანებს, რომლებიც ჯერ კიდევ კითხულობენ გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსს“, რომელიც კრახს განიცდის და იმის მიუხედავად, რომ ირანი მთლიანად განადგურებულია სამხედრო თვალსაზრისით, შეიძლება ჰგონიათ, რომ ირანი ამერიკას ამარცხებს“,** – დაწერა პრეზიდენტმა თავის სოციალურ ქსელში, – **„მაგრამ ეს ხომ სიცრუეა! „ნიუ-იორკ თაიმსმა“ კარგად იცის, რომ ეს ფეიკური ახალი ამბებია! როდის მოიხდიან ბოდიშს ყველა ეს კორუმპირებული მასმედიის წარმომადგენლები ცრუ ინფორმაციის გავრცელებისა და ჩემს წინააღმდეგ, ჩემი მომხრეებისა და ჩვენი ქვეყნის მიმართ აგორებული საშინელებების გამო?“.**

გაურკვეველია, თუ კონკრეტულად რომელ სტატიაზე მოახდინა პრეზიდენტმა თავის პოსტში ესოდენ ემოციური რეაგირება ორშაბათს. „ინდეფენდენთმა“ განმარტებისათვის თეთრ სახლს მიმართა, თუმცა უშედეგოდ.

სხვათა შორის, გასული წლის ბოლოსაც მოხდა მსგავსი შემთხვევა, როცა დონალდ ტრამპმა „ნიუ-იორკ თაიმსს“ შეუტია გამოქვეყნებული ანგარიშის გამო – მასში ნათქვამი იყო, რომ პრეზიდენტობის მეორე ვადის პირველი 10 თვის განმავლობაში დონალდ ტრამპის აქტიურობა ბევრად დაბალი იყო, ვიდრე პირველი ვადის ანალოგიურ პერიოდში. ანგარიშის ავტორებმა შეამჩნიეს, რომ ოფიციალური ღონისძიებების რაოდენობა მეორე ვადის 10 თვეში, პირველ ვადასთან შედარებით, 40%-ით შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში პრეზიდენტის საჯარო ოფიციალური გამოსვლები საზოგადოებისთვის სრულიად ხელმისაწვდომად ითვლება, დონალდ ტრამპმა „ნიუ-იორკ თაიმსს“ ანალიზის გაყალბება დააბრალა – **„თქვენ ჩემთვის პოლიტიკური ზიანის მიყენება გინდათო“**.

მოგვიანებით პრეზიდენტმა თეთრ სახლში აკრედიტებულ პროფესიონალ და გამოცდილ რეპორტიორ ქეით როჯერსზე ღიად თქვა, რომ **„მას ვიღაცამ ჩემზე ცუდი ამბების დაწერა დაავალაო“ და ჟურნალისტს „მესამეხარისხოვანი რეპორტიორი“ უწოდა, „რომელიც შინაგანად და გარეგნულადაც მახინჯია“.**

ორშაბათს მომხდარი ინციდენტი **პიტერ ბეიკერთან** დაკავშირებით მნიშვნელოვანი იმით არის, რომ მასში თავმოყრილია არა მარტო თვითონ რესპუბლიკური პარტიის წევრების, არამედ სხვა ლიდერების – დემოკრატი პოლიტიკოსებისა და გენერლების, პრეზიდენტების ყოფილი მოკავშირეების, უცხოელი დიპლომატებისა და ჩინოვნიკების გამონათქვამები დონალდ ტრამპის მიმართ. მაგალითად, სტატიაში მოხსენიებულია დონალდ ტრამპის ყოფილი მხარდამჭერი, ყოფილი რესპუბლიკელი **მარჯორი ტეილორ გრინი**, რომელმაც პრეზიდენტის მუქარას ირანის განადგურების თაობაზე **„სიგიჟე“** უწოდა, ხოლო რესპუბლიკური პარტიის მემარჯვენე ფრთის გავლენიანმა წარმომადგენელმა კენდის ოუენმა პრეზიდენტი **„გენოციდურ მანიაკად“ შერაცხა.**

დონალდ ტრამპის ყოფილმა ადვოკატმა თეთრ სახლში **ტაი კობმა** განაცხადა, რომ პრეზიდენტი **„აშკარად ჭკუიდან არის გადასული“**. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი დირექტორის ჯონ ბრენანის თქმით კი, აშშ-ის კონსტიტუციის 25-ე შესწორება (მიიღეს 1967 წელს და ითვალისწინებს ხელისუფლების მემკვიდრეობითობას – როცა პრეზიდენტი კვდება, ან გადადგება ან უუნაროა უფლებამოსილების შესასრულებლად) სწორედ ისეთი ადამიანებისთვის იქნა შემუშავებული, **„როგორსაც დონალდ ტრამპი წარმოადგენს“**. გარდა ამისა, კონგრესის 87-მა წევრმა დემოკრატმა მოითხოვა, რომ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიმართ 25-ე შესწორება ამოქმედებულიყო. მათ დონალდ ტრამპს „შეურაცხადი“ და „არასტაბილური“ უწოდეს.

**ჯეიმი რისკინმა,** წარმომადგენელთა პალატის იურიდიული კომიტეტის გავლენიანმა დემოკრატმა წევრმა თეთრი სახლის ექიმს სთხოვა, დაუყონებლივ ჩაატაროს დონალდ ტრამპის ყოველმხრივი კოგნიტიური შეფასება. მან პრეზიდენტი **„სულ უფრო არათანმიმდევრულ, არასტაბილურ, გაუწონასწორებელ, უზრდელური (უცენზურო) სიტყვების მოყვარულ და საფრთხის შემცველ“** პიროვნებად შერაცხა. როგორც სტატიის ავტორი **პიტერ ბეიკერი** წერს, „იმის გამო, რომ პრეზიდენტი აბდაუბდა, ძნელად ასახსნელ და ხშირად უხერხულ და უზრდელ განცხადებებს აკეთებს, ბევრ ადამიანს ექმნება შთაბეჭდილება, რომ იგი შეურაცხად ავტოკრატს, ძალაუფლებისაგან გაგიჟებულ“ პიროვნებას წარმოადგენს.

ბევრმა კომენტატორმა ეს ფორმულირება მიმანიშნებლად, განმსაზღვრელად ჩათვალა: **„დონალდ ტრამპს 80 წლის იუბილემდე რამდენიმე თვეღა დარჩა და აშშ-ის მთავარი ეროვნული გაზეთი ღიად აყენებს საკითხს – ჭკუიდან ხომ არ შეიშალა პრეზიდენტი?“,** – დაწერა დევიდ ლინჩმა, „ვაშინგტონ პოსტის“ კორესპონდენტმა „იქს-ქსელში“.

**„პრეზიდენტმა (თეთრმა სახლმა) პიტერ ბეიკერი საბოლოოდ დაკარგა“,** – ირონიულად წერს დამოუკიდებელი ჟურნალისტი **ქრის გეიდნერი** გამოცემა Bluesky-ში. ზოგიერთებმა სტატია იმის აღიარებად ჩათვალეს, რაც ისედაც დიდი ხანი და აშკარად ცნობილია: **„ახლა ამას უკვე ისინი თვითონაც ამბობენ“,** – წერს **რაიან კუპერი,** ჟურნალ AMERICAN PROSPECT-ის თანამშრომელი.



მოამზადა
**სიმონ კილაძემ**

## ჩინეთი ბედნიერია, რომ ჰორმუზის სრუტეს სამუდამოდ ვხსნი. სი ძინპინი მაგრად ჩამეხუტება

**ჩინეთი ძალიან ბედნიერია, რომ მე სამუდამოდ ვხსნი ჰორმუზის სრუტეს. ამას მათთვისაც ვაკეთებ და მთელი მსოფლიოსთვისაც,** – ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** სოციალურ ქსელში წერს. როგორც ის წერს, ჩინეთი ბედნიერია, რომ ჰორმუზის სრუტეს სამუდამოდ ხსნის.

**„ეს სიტუაცია აღარასდროს განმეორდება. ისინი შეთანხმდნენ, რომ ირანს იარაღს არ გაუგზავნიან. პრეზიდენტი სი ძინპინი რამდენიმე კვირაში, როცა იქ ჩავალ, მაგრად ჩამეხუტება. ჩვენ ერთად ჭკვიანურად და ძალიან კარგად ვმუშაობთ! განა ეს ბრძოლას არ სჯობს??? მაგრამ გახსოვდეთ, ჩვენ ძალიან კარგები ვართ ბრძოლაში, თუ საჭიროა – ბევრად უკეთესები, ვიდრე ნებისმიერი სხვა!!!“** – წერს **ტრამპი** სოციალურ ქსელში.

## ვერც ერთი ძალა ვერ დაუქნევს თითს თურქეთსა და თურქეთის პრეზიდენტს!



**მინდა, შევახსენო რამდენიმე ფაქტი მათ, ვინც მე და ჩვენს ქვეყანას შეურაცხგვყოფს, ამ ბავშვთა მკვლელებს, თურქეთის რესპუბლიკა ჩვეულებრივი სახელმწიფო არ არის,** – ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა, **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა** განაცხადა. მისი თქმით, ვერც ერთი ძალა ვერ დაუქნევს თითს თურქეთსა და თურქეთის პრეზიდენტს.

**„ჩვენ გავაგრძელებთ მჩაგვრელის „მჩაგვრელად“, ბანდიტის „ბანდიტად“, მკვლელის „მკვლელად“ მოხსენიებას, რათა ვიყოთ ღაზის ბავშვების ხმა და მოვუსმინოთ გულმოკლული დედების ტირილს. ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენი ძმებისა და დების უფლებების დაცვას, რომელთა მიწებიც ოკუპირებულია დასავლეთ სანაპიროზე, და ლიბანში ძილში მოკლული ბავშვების საქმის კეთებას“,** – აღნიშნა **ერდოღანმა.**

თურქეთის პრეზიდენტის განცხადებით, ისრაელის მთავრობას, რომელიც, როგორც ცნობილია, ძალიან უკმაყოფილოა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით, არ უნდა მიეცეს პროცესის საბოტაჟის უფლება.

---

ვიდრე დანარჩენ ევროპაში, მშპ-ის რეალური ზრდა კი პრაქტიკულად გაჩერდა. ქვეყანა რეცესიაში არ არის, თუმცა უკვე მეოთხე წელია, სტაგნაციას განიცდის – ეს კი ნებისმიერი მოქმედი მთავრობისთვის ცუდი ამბავია.

**დასავლეთ ევროპის ნებისმიერი მთავრობა, რომელიც მსგავს სკანდალებსა და ეკონომიკურ უძრაობაში აღმოჩნდებოდა, არჩევნებზე საკადრის პასუხს მიიღებდა. ასე დაემართათ ბრიტანელ კონსერვატორებს 1997 და 2024 წლებში და ასე დაემართა ვიქტორ ორბანსაც.**

თუმცა, ის ფაქტი, რომ ეს გამარჯვება ორბანის მხარდამჭერებისთვის (მათ შორის, სავარაუდოდ, დონალდ ტრამპისა და ჯეი დი ვენსისთვისაც) ასეთი მოულოდნელი აღმოჩნდა, ამ მარცხს კიდევ უფრო გამორჩეულს ხდის. როგორც ჩანს, ორბანის მიერ შექმნილმა მედიაიმპერიამ რეჟიმის მოკავშირეებისთვის ერთგვარი იზოლირებული „საინფორმაციო ბუშტი“ შექმნა.

**ხელისუფლებისადმი ლოიალური სოციოლოგები აქვეყნებდნენ კვლევებს, რომლებიც მხოლოდ იმას ამბობდა, რისი დაჯერებაც ორბანის გუნდს სურდა - რომ გამარჯვება გარანტირებული იყო. სხვა გამოკითხვებს კი ოპოზიციასთან კავშირის გამო უნდობლობას უცხადებდნენ, რაც ხშირ შემთხვევაში სიმართლეც იყო. თუმცა ფაქტი, რომ ვინმე შენი ოპონენტია, სულაც არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად ტყუის.**

სამხრეთამერიკული ფირმის, Atlas Intel-ის დამოუკიდებელმა კვლევამ ზუსტად იგივე აჩვენა, რაც არასახელისუფლებო გამოკითხვებმა. მე ვნახე ბრიტანული Focaldata-ს კერძო კვლევაც, რომელიც არა მხოლოდ პარტია „ტისას“ ორნიშნა უპირატესობას აჩვენებდა, არამედ მანდატების მიხედვით იმასაც პროგნოზირებდა, რომ „ტისას“ შეეძლო საპარლამენტო უმრავლესობის, მეტიც – საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაც კი.

**ეს კვლევები ზუსტი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, „ფიდესის“ მხარდამჭერები, რომლებსაც ბოლო დღეებში შევხვდი, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მცირედი დანაკარგებით, მაგრამ მაინც გაიმარჯვებდნენ. მათ სჯეროდათ თავიანთი ლიდერების, ეს ლიდერები კი ან საკუთარ თავს ატყუებდნენ, ან მხარდამჭერებს, ან ორივეს ერთად.**

უნგრული პოპულისტური კონსერვატიზმი დამარცხდა, მაგრამ ის პოლიტიკური ველიდან არ გამქრალა. მას ისეთი ენერგიული პოლიტიკოსის გამოჩენა დასჭირდება, როგორიც „ტისას“ ლიდერი პეტერ მადიარია. თუმცა, მომავალში მემარჯვენე პოლიტიკური კურსის შენარჩუნება მაშინ, როცა ძირითადად მემარცხენე ამომრჩეველზე ხარ დამოკიდებული, ძალიან რთული იქნება.

**მადიარიც აღმოაჩენს, რომ ეკონომიკურ ზრდაზე საუბარი ბევრად ადვილია, ვიდრე მისი მიღწევა. მას, სავარაუდოდ, მალე წაახალისებენ ევროკავშირის მანამდე შეჩერებული დაფინანსების აღდგენით, რაც ქვეყანას დაეხმარება. მაგრამ ეს ვერაფერს უშველის უნგრეთის სუსტ სამეწარმეო კულტურას და ვერც ენერგეტიკული კრიზისისგან დაიცავს ქვეყანას, რაც მთელი რეგიონის პრობლემაა.**

მადიარს ხელი შეუწყო „ფიდესის“ გადამეტებულმა თვითდაჯერებულობამაც. ორბანს უნდა სცოდნოდა, რომ ტაქტიკის შეცვლა იყო საჭირო – ძველი ორბანი ასეც მოიქცეოდა. სწორედ ასე მოიქცა ის 2010-იანების დასაწყისში, როდესაც ულტრამემარჯვენე „იობიკი“ (ჟობბიკ) გაძლიერდა: ორბანმა მიგრაციის თემა თავისი პლატფორმის მთავარ ღერძად აქცია და ოპონენტებს ნიადაგი გამოაცალა.

**ამის ნაცვლად, ჩვენ ვიხილეთ მთავრობა, რომელიც ჯიუტად მიჰყვებოდა ძველ სცენარს. დანგრეული ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების ნაცვლად, მათ კიდევ უფრო გაზარდეს სუბსიდიები ოჯახებისა და პენსიონერებისთვის. ისინი მადიარის ვოლოდიმირ ზელენსკისთან დაკავშირებას ცდილობდნენ, რაც არადამაჯერებელი იყო – ხალხს არ სჯეროდა, რომ უნგრეთი იმ ომში ჩაებმებოდა, რომელიც უკვე წლებია, ჩიხშია შესული. გასაკვირი არაა, რომ უნგრელებმა მას ზურგი აქციეს.**

ბრიუსელის ელიტა ალბათ ფიქრობს, რომ გაიმარჯვა – და ამჯერად ეს მართლაც ასეა. თუმცა, მათ 2023 წელს პოლონეთშიც ეგონათ, რომ საბოლოო გამარჯვებას მიაღწიეს, როცა დონალდ ტუსკის კოალიციამ „სამართალი და სამართლიანობა“ დაამარცხა. ტუსკს მართვა გაუჭირდა, გასულ წელს კი პრეზიდენტობის კანდიდატმა კაროლ ნავროცკიმ გაიმარჯვა. როგორც ჩანს, გამარჯვება წარმავალია.

უნგრელი კონსერვატორები ამ შოკს გადალახავენ და მტკივნეულ, მაგრამ აუცილებელ გარდაქმნას დაიწყებენ. სხვა პოპულისტმა კონსერვატორებმაც – და აქ უპირველესად პრეზიდენტ ტრამპს ვგულისხმობ – უნდა გაითვალისწინონ: საარჩევნო ყუთთან კულტურული იდენტობა ეკონომიკურ სტაგნაციას ვერ დაამარცხებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს პოპულისტური კონსერვატიზმისთვის მხოლოდ დროებითი უკანდახევაა და არა საბოლოო დამარცხება, თუკი ისინი სწორ დასკვნებს გამოიტანენ.

**დემოკრატიაში, საბოლოო ჯამში, ხალხი წყვეტს ყველაფერს. ორბანს ეს დაავიწყდა. ვნახოთ, ისწავლიან თუ არა სხვა პოპულისტი ლიდერები მის შეცდომებზე.**



# საფეხბურთო მოზაიკა

**უამინდობის გამო გადადებული კრისტალბეთ ეროვნული ლიგის შეხვედრები. იბერია – მეშახტე 2:2, დილა – რუსთავი 1:2, დინამო – ბათუმი 2:2.**

**სატურნირო მდგომარეობა 6 ტურის შემდეგ:** იბერია – 11, სპაერი, რუსთავი – 10, სამგურალი – 8, ტორპედო, ბათუმი, დინამო, დილა, მეშახტე – 7, გაგრა – 5 ქულა.

აღსანიშნავია, რომ გასულ უქმეებზე მორიგი გოლები გაიტანეს ქართველმა ლეგიონერებმაც – **ზურიკო დავითაშვილმა, გიორგი წიტაიშვილმა** და ხანგრძლივი შესვენების შემდეგ – **ბუდუ ზივზივაძემ,** მაგრამ ჩვენებურთა საერთაშორისო კარიერაში უმთავრესი მოვლენა მაინც ჩემპიონთა ლიგაში გამართული ლივერპულისა და პარი სენ-ჟერმენის საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი გახლდათ, რომელიც, პირველი რაუნდის მსგავსად, სტუმრებმა 2:0 მოიგეს და განაგრძობენ ტიტულის დასაცავად ბრძოლას.

ჩვენთვის, ბუნებრივია, განსაკუთრებით საინტერესო **ხვიჩა კვარაცხელიასა** და **გიორგი მამარდაშვილის** დუელი გახლდათ. კოკისპირული წვიმის მიუხედავად, ფრანგული გრანდის ლიდერმა დიდი წვლილი შეიტანა **დემბელეს** დუბლში – ჯერ ევროსეზონში მე-13 შედეგიანი მოქმედება მიითვალა და აღნიშნული ასისტით მხოლოდ მბაპეს ჩამორჩება (უშუალოდ წლევანდელ გათამაშებაში 5 გოლი და 4 ასისტი აქვს), ხოლო მოგვიანებით უკვე მე-2 შედეგიანი კონტრშეტევა წამოიწყო. რაც შეეხება მერსისაიდელთა მეკარეს, პარტნიორები რამდენჯერმე დააზღვია, მისმა კოლეგა **საფონოვმა** კი კარიერაში საუკეთესო სპექტაკლი დადგა.

მთლიანობაში შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, მის უკომპრომისობაზე კი **ეკიტიკეს, მენდეშისა** და **დუეს** ტრავმებიც მეტყველებს, ერთ-ერთ საკვანძო ეპიზოდად კი **ვარ** – ის მიერ მასპინძელთათვის გაუქმებული პენალტი შეგვიძლია მივიჩნიოთ, როცა ანგარიში ჯერაც 0:0 იყო.

**ლუის ენრიკე:** ჩემი გუნდით ძალიან ვამაყობ. პირველ ტაიმში თამაშს სრულად ვაკონტროლებდით და უმეტესწილად მეტოქის ნახევარზე ვმოქმედებდით, რაც სველ გრუნტზე იოლი ნამდვილად არაა. მეორე ნახევარში გაგვიჭირდა, მაგრამ ის გავაკეთეთ, რაც უზურთოდ თამაშის დროს არის საჭირო. წითლები დიდ რისკზე წავიდნენ და სივრცეები გაგვიხსნეს, რაც გამოვიყენეთ. ასე რომ, ორი მატჩის ჯამში შემდეგ ეტაპზე გასვლა დავიმსახურეთ. რაც შეეხება ნახევარფინალს, 28-29 აპრილსა და 5-6 მაისს შესანიშნავი ოთხეული ასე დაწყვილდა: პარი სენ-ჟერმენი-ბაიერნი და ატლეტიკო-არსენალი.

შეგახსენებთ, რომ კოვიდ პანდემიის პერიოდში ეს გუნდები ჩემპიონთა ლიგის ფინალში უკვე შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ რეკორდმაისტერმა კომანის გოლით გაიმარჯვა, შარშან კი ამერიკაში გამართულ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე ფრანგულმა გრანდმა რევანში აიღო.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და ვენსან კომპანის გუნდი შესამჩნევად მომძლავრდა, რაც ბუნდესლიგაში გატანილი 105(!) გოლითა და, განსაკუთრებით, მრისხანე რეალთან მოგებული ორივე პლეი-ოფით დასტურდება-2:1 და 4:3. გულშემატკივარი დაგვეთანხმება, რომ სამეფო კლუბთან საპასუხო რაუნდში მეტოქეთაგან ნაჩვენები თამაშის ხარისხი ფეხბურთის მშვენებაა. მით უფრო საინტერესოა კვარასა და კამპანიის მომავალი გამოცდები.



# კახელებმა ფრანგული ფანჯარა გაჭრეს

**ამას წინათ გაუწყეთ ბარბაროსების ბავშვთა გუნდის ვიზიტზე მონაკოს პრინცესას მიერ ორგანიზებულ დაუვიწყარ ტურნირზე, ხოლო ამჯერად ლაჟვარდოვანი სანაპიროს მარგალიტ ნიცას უკვე პატარძეულის ვეფხვების 12-წლამდელი მოზარდები ეწვივნენ პრესტიჟულ ფესტივალში სათამაშოდ (მწვრთნელები შოთა ცხოვრებაშვილი, ზურა ბეჟაშვილი, მენეჯერი სანდრო პავლიაშვილი).**

კახურ კლუბს დაახლოებით 20-წლიანი სარაგბო ტრადიცია გამოარჩევს, რაც არაერთი ბორჯღალოსნის საამაყო კარიერით დასტურდება, მისი ამჟამინდელი თაობა კი სამშობლოში თავაწეული ხუთივე მატჩის მოგებით დაბრუნდა მასპინძლებთან, მონაკოსთან, სენ ნუართან და კანის 2 გუნდთან. აღსანიშნავია, რომ ბიჭებს ვეტერანი თანამემამულენი-რეზო გიგაური და გიორგი მგელაძე დახვდნენ, ლიონის ლეგიონერმა ბექა შვანგირაძემ კი სტუმრებს თავისი კლუბის ბაზა დაათვალიერებინა.

რაც შეეხება პერსპექტივას, სასურველია ჩვენებურებმა ფრანგულ რივიერაზე გასამართავ პოპულარულ ფესტივალზეც გაიმდიდრონ გამოცდილება, სადაც იქაურ თანატოლთა ელიტა იასპარეზებს. მოკლედ, ყველანი უფრთხილდნენ ვეფხვებს!: **თარაშ ცხოვრებაშვილი, გაბრიელ ბოლოთაშვილი, პეტრე აბაზაძე, თეიმურაზ-ქაიხოსრო ცხოვრებაშვილი, ნიკა ექვთიმიშვილი, ალექსანდრე ალექსაშვილი, ნუგო ექვთიმიშვილი, ერეკლე ბაირამაშვილი, თომა ჩუნთიშვილი, სანდრო ჩუნთიშვილი, ანდრია ხორიაშვილი, გიორგი მანგოშვილი.**

# რინგის ამბები

**ამ დღეებში ქართველმა მოკრივეებმა მეზობელ ქვეყნებში გამართულ საერთაშორისო ტურნირებში იჩხუბეს და წარმატებებიც მოიპოვეს – სამშობლოში 6 მედლით დაბრუნდნენ.**

**აზერბაიჯანი.** დიდი აბრეშუმის გზის თასის გათამაშება. **ოქრო** – გიორგი ნატროშვილი (75 კგ). მან ნახევარფინალური ბრძოლა მასპინძელ ჯაფაროვს, ხოლო ფინალი უზბეკ შოკიროვს მოუგო. **ბრინჯაო** – გოგა თოფურია და სახილ ალახვერდოვი (ორივე 50 კგ).



**თურქეთი.** აჰმეთ ჩემერთ ბოსფორუსის მემორიალი. **ვერცხლი** – ბექა წერედიანი (90 კგ). **ბრინჯაო** – ლაშა კერესელიძე (50 კგ), თათია ბუკია (80 კგ).

# საკალათბურთო ვნებანი

**უკანასკნელ 4 წელიწადში თსუ-მ საქართველოს თასი მე-3 მოიპოვა. ფინალში სტუდენტურმა გუნდმა ზესტაფონის მარგვეთი 83:70 დაამარცხა. გათამაშების საუკეთესო მოთამაშის პრიზი სატიტულო ბრძოლის სნაიპერს, ეროვნული ნაკრების წევრს ალექსანდრე ფევაძეს გადაეცა – 15 ქულა და 15 მოხსნა.**

ამასობაში საინტერესოდ ვითარდება მოვლენები ოკეანის გაღმა, სადაც ნბა-ში რეგულარული სეზონი დასრულდა და ცნობილი გახდა პლეი-ოფისა და პლეი-ინის ყველა წყვილი.

**აღმოსავლეთ კონფერენცია.** დეტროიტი და ბოსტონი მომავალ მეტოქეებს ელიან, მათ ვინაობას კი შარლოტი, მაიამი, ფილადელფია, ორლანდო, კლივლენდი, ტორონტო, ნიუ იორკი და ატლანტა გამოავლენენ.

**დასავლეთ კონფერენცია.** ოკლაჰომა და სან ანტონიო მოლოდინის რეჟიმში არიან და შესაძლოა შემდეგ გუნდებს შეხვდნენ: კლიპერსი, გოლდენ სტეიტი, ფინიქსი, პორტლენდი, ლეიკერსი, ჰიუსტონი, დენვერი, მინესოტა.




**ჩემპიონთა ლიგა:** მეოთხედფინალის მე-3 მატჩი. ტენერიფე-გალათასარაი 99:59 (სერიის ანგარიში2:1).

გიორგი შერმადინი-19 წუთში 20 ქულა, 14 მოხსნა, 3 ასისტი.

ნახევარფინალში კუნძულელები ლიეტუვას რიტასს შეხვდებიან და პირველი მატჩი 7 მაისს ვილნიუსში გაიმართება.

# როცა უძლურნი ვართ

**ახლო აღმოსავლეთში დანთებული საომარი ცეცხლის გამო ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ გააუქმა მსოფლიოს ჩემპიონატის მე-2 დივიზიონის „ა“ ჯგუფის ტურნირი, რომელიც ჯერ ალ-აინში (საამიროები) უნდა გამართულიყო, ხოლო შემდეგ იმ რეგიონში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური ვითარების გამო თბილისში გადმოიტანეს.**



აღსანიშნავია, რომ მასპინძელთა გარდა საქართველოში თამაშზე თანახმანი იყვნენ ბელგია, სერბეთი და ხორვატეთი, მაგრამ გადამწყვეტი აღმოჩნდა ძვირი სამგზავრო ფასების გამო ჩამოსვლაზე ავსტრალიელთა და უკანასკნელ მომენტში არაბული სახელმწიფოს მთავრობის უარი.

დავძენთ, რომ ამავე მიზეზით ასევე არ ჩატარდება კუვეიტში დანიშნული მე-4 დივიზიონის შეხვედრები.

* * *

**ოეირა (პორტუგალია). ჩოგბურთელ ქალთა ბილი ჯინ კინგის თასის ევრო-აფრიკის პირველი ჯგუფის გათამაშება.**

საქართველო-თურქეთი 0:3, საქართველო-ნიდერლანდები 0:3, საქართველო-უნგრეთი 2:1, საქართველო-რუმინეთი 0:2. ასე რომ, ჩვენი გუნდი 1 დივიზიონით დაქვეითდა.

# თიხნარსაც აჭაშნიკებს

**იანიკ სინერმა ზედიზედ მე-7 ფინალი მოიგო. მონტე კარლოს ტურნირის ფინიშზე იტალიელმა ყველაზე პრინციპული ესპანელი მეტოქე კარლოს ალკარასი 7:6, 6:3 დაამარცხა და მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსიც წაართვა.**



აპენინელმა საერთაშორისო რეიტინგის ტოპ-ოცეულის წარმომადგენლებთან მე-100 გამარჯვება იზეიმა, თანაც მასტერსებზე ზედიზედ მე-4 ტრიუმფი აღნიშნა, რითაც **რაფაელ ნადალისა** და **ნოვაკ ჯოკოვიჩის** მიღწევა გაიმეორა.

გარდა ამისა, მას 17-მატჩიან წარმატებათა სერიაც აქვს – მიმდინარე სეზონში უკვე მე-3 ტიტული მოიხვეჭა. საინტერესოა ისიც, რომ ამავე დროს სინერისთვის ეს თიხნარის საფარიან კორტებზე კარიერაში მხოლოდ მე-2 ტრიუმფია – აქამდე მას 2022 წელს ხორვატულ უმაგში არ ჰყავდა ბადალი.

არდავიწყება

# გიორგი ავსაჯანიშვილი

კიდევ ერთი საამაყო მეგობარი გამოაკლდა ჩვენს თაობას. გოგი (გიორგი) ავსაჯანიშვილს მიმდინარე წლის 2 აგვისტოს 90 წელი შეუსრულდებოდა.



მრავალმხრივი იყო გოგის შემოქმედებითი მოღვაწეობა. მის მიერ დამუშავებული და განხორციელებული პროექტები ამშვენებენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონს. მეტად ნაყოფიერი იყო მისი ღვაწლი გრაფიკასა და დიზაინში. მისი დიზაინით შექმნილმა მოსამართლის მანტიამ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. მან ასევე იმუშავა საქართველოს ორდენებისა და ფულის ნიმუშების შექმნაზე.

გოგის მიერ საზღვარგარეთ გაფორმებული საქართველოს სავაჭრო და საგამოფენო პავილიონები ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალკვალიფიციური შესრულებით და შესაბამისად იგი ჯილდოვდებოდა ოქროს მედლებით.

გოგი მრავალი წიგნის გამფორმებელია, მათ შორის აღსანიშნავია ფუნდამენტური ტრილოგია „ნათელი ქრისტესი", რომელიც ეძღვნება საქართველოს მართლმადიდებლობის ისტორიას და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მოღვაწეობას.

გოგი ავსაჯანიშვილის დაუღალავი შრომის შედეგად შეიქმნა საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის ორი ტომი.

სამწუხაროა, რომ გოგის ტკივილად გაჰყვა მისი ხელით გადაწერილი და გაფორმებული ფართოფორმატიანი უნიკალური წიგნის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" გამოუცემლობა. იქნებ შესაბამისმა ორგანოებმა იზრუნონ ამაზე. ვფიქრობთ, რომ ეს წიგნი ღირსეულ ადგილს დაიკავებს „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერ უნიკალურ გამოცემათა შორის.

შესანიშნავი პროფესიონალის, გულისხმიერი და მოსიყვარულე მეგობრის, მრავალმხრივი ნიჭით გამორჩეული პატრიოტი ქართველის ხსოვნა მარად დარჩება ჩვენთან.

**მერაბ ნიკოლაიშვილი, დავით გურგენიძე, ვაჟა ნადირაშვილი, ანზორ ჩოგოვაძე, დავით დოლონაძე, გივი გორგოშიძე, ომარ კიკნაძე, გიორგი სალუქვაძე, გურამ ძერაშვილი, საველ მარსაგიშვილი, ბარამ ბარამიძე.**

სულთათანა



# ეროვნული ღირსებით შემკული კაცი

ბოლო არ უჩანს ერის ცნობილი შვილების სამარადისო სასუფეველში გადანაცვლებას.

სამშობლოზე შეყვარებული კიდევ ერთი გულიანი კაცი გამოაკლდა ჩვენს რიგებს, ყველასთვის შესანატრი კაცური კაცობის ნიმუში, ქალაქის ნამდვილი კოლორიტი, ეროვნული ღირსების მატარებელი, რაინდული თვისებებით და სიკეთით სავსე ჩვენი მეგობრობის და ძმობის გამლამაზებელი და დამამშვენიერებელი

**ზაურ კვირკველია.**

ზაურმა თავისი ცხოვრების მანძილზე, ბავშვობიდან – გარდაცვალებამდე საყოველთაო ქართველის სამაგალითო კაცობის დროშა უმაღლეს დონეზე ატარა.

მსუბუქი იყოს ქართული მიწა მის საფლავზე.

ჩვენ კი, ზაურის უახლოესი მეგობრები, თანამოაზრენი დიდი ვაჟა-ფშაველას შეგონებით ვინუგეშებთ თავს – ღმერთმა გიშველოს სიკვდილო, სიცოცხლე ფასობს შენითა!..

**თბილისელები**

## საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ემჯი ჰოლდინგი", როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მალხაზი ბაგაევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონის პირობები:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მალხაზი ბაგაევ (პ/ნ 20801075919), ახმეტის რაიონი, სოფელი ფიჩხოვანი, პირველი ქუჩა N10

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ახმეტის რაიონი, სოფელ ფიჩხოვანში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 3700კვ.მ (საკადასტრო კოდი: 50.09.36.308)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 6679.56 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 17 აპრილი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 11 მაისი, 14:00 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP125965926**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1259659)

**8. მოვალე:** მალხაზი ბაგაევ (პ/ნ 20801075919), ახმეტის რაიონი, სოფელი ფიჩხოვანი, პირველი ქუჩა N10

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**10. აუქციონის პირობები:**

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი".

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (სს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები 2026 წლის 11 მაისის 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს „ემჯი ჰოლდინგში", მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. 40, სართული 11.

## საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ემჯი ჰოლდინგი", როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მამუკა მარდანაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: მამუკა მარდანაშვილი (პ/ნ 08001032074), ახმეტის რაიონი, სოფელი ახშნის ველები, მე-2 ქუჩის II ჩიხი N2

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ახმეტის რაიონი, სოფელი ახშნის ველები, მე-2 ქუჩის II ჩიხი N2. მიწის დაზუსტებული ფართობი: 5017.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: საერთო ფართი: N01-227კვ.მ N02-37კვ.მ (საკადასტრო კოდი: 50.10.36.064)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 29652.83 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 17 აპრილი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 11 მაისი, 14:15 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP125967126**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1259671)

**8. მოვალე:** მამუკა მარდანაშვილი (პ/ნ 08001032074), ახმეტის რაიონი, სოფელი ახშნის ველები, მე-2 ქუჩის II ჩიხი N2;

ნინო კუტალაძე (პ/ნ 46001016066), ახმეტის რაიონი, სოფელი ახშნის ველები.

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**10. აუქციონის პირობები:**

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი".

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (სს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები 2026 წლის 11 მაისის 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს „ემჯი ჰოლდინგში", მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. 40, სართული 11.

# „დედა ენა“ – წიგნი ქართული ენის სილამაზესა და სიწმინდეზე

**14 აპრილს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ გამოცემიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.**

საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი იყო ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდში დაცული „დედა ენის“ გამოცემები – პირველიდან თანამედროვეობამდე. ამ საიუბილეო თარიღს ეძღვნება ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ დაბეჭდილი 1876 წლის „დედა ენის“ ხელახალი გამოცემაც. წიგნი გამორჩეულია იმით, რომ ის დიმიტრი ყიფიანის ნაქონია და თითქმის ყველა გვერდს მისივე ხელით მიწერილი კომენტარები ერთვის. ღონისძიებაზე ეს გამოცემაც იყო წარმოდგენილი.



**„დედა ენა“ არ არის მხოლოდ წიგნი – ეს არის ქართული სულის, ენისა და კულტურის ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენი. იაკობ გოგებაშვილის მიერ შექმნილი ეს უნიკალური ნაშრომი საუკუნეზე მეტია, რაც თაობებს აზიარებს ქართული ენის სილამაზეს, სიწმინდესა და ძალას.**

**„დედა ენა“, რომელიც პირველად 1876 წელს გამოიცა, იქცა იმ საფუძვლად, რომელზეც უამრავმა ქართველმა ბავშვმა ისწავლა კითხვა, წერა და საკუთარი ქვეყნის სიყვარულიც. მისი ტექსტები, მოთხრობები და მაგალითები არა მხოლოდ განათლებას, არამედ ზნეობრივ ღირებულებებსაც გადასცემს მკითხველს – პატივისცემას, შრომისმოყვარეობას, პატრიოტიზმს, ბუნების სიყვარულსა და ადამიანურობას.**

**ქართული ენა ჩვენი ეროვნული იდენტობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. სწორედ ენა გვაკავშირებს ჩვენს ისტორიასთან, ტრადიციებთან და ერთმანეთთან. „დედა ენა“ კი ამ კავშირის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი და მტკიცე ხიდია – წიგნი, რომელმაც არაერთი თაობა გააერთიანა საერთო სიტყვითა და აზრით.ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ დაბეჭდილი 1876 წლის „დედა ენის“ ხელახალი გამოცემა არის პატივის მიგება დიდი მასწავლებლისადმი და იმ ფასეულობებისადმი, რომელიც მან დაგვიტოვა. თითოეული გვერდი გვახსენებს, რომ ენა არის ჩვენი ძალა, ჩვენი სახე და ჩვენი მომავალი“,** – წერს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი **კონსტანტინე გამსახურდია** გამოცემის ჩანართში.



# ფიროსმანი ეროვნული გალერეის განახლებულ საგამოფენო სივრცეში

**ეროვნული გალერეის განახლებულ საგამოფენო სივრცეში შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცული ნიკო ფიროსმანაშვილის 50-მდე ნამუშევრის გამოფენა – „ფიროსმანი“ გაიხსნა.**

ექსპოზიცია კულტურის მინისტრმა თინათინ რუხაძემ დაათვალიერა.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს, საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, სამუზეუმო კოლექციების დაცვა-შენახვისა და ექსპონირების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ეროვნული გალერეის საგამოფენო სივრცეები განახლდა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კლიმატკონტროლის სისტემით აღიჭურვა.

**„სასიხარულოა, რომ დასრულდა ეროვნული გალერეის ტექნიკური აღჭურვა. გამოწვევები სრულად დაძლეულია. ჩვენი მიზანია, გვქონდეს გამართული ინფრასტრუქტურა, რათა ეროვნული საგანძური სათანადოდ იყოს დაცული. კულტურის სამინისტრო მზად არის, ყოველთვის იყოს იმ პროექტების მხარდამჭერი, რომლებიც ჩვენს საგანძურზე ზრუნვას ემსახურება“,** – განაცხადა **თინათინ რუხაძემ.**

# იაპონიაში ქართული ღვინის პოპულარიზაცია იზრდება

**იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გამართულ ქართული ღვინის წარდგენას ტოპ სომელიე ტაკუ იგურო უძღვებოდა. ქართულ ქარვისფერ ღვინოებზე ტაკუ იგურომ სპეციალურ სემინარზე ისაუბრა, ხოლო ღვინოების დეგუსტაცია ე.წ. „Walk Around Tasting“-ის ფორმატში გაიმართა.**

ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Red Bridge“ ორგანიზებით, **იაპონიის ქალაქებში – საპორო, სენდაი და ტოკიო, აპრილის დასაწყისში ქართული ღვინის დეგუსტაციები და სემინარები, ე.წ. „Road Show“ გაიმართა.**

მსგავსი ღონისძიებები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს, ერთ სივრცეში შეხვდნენ პოტენციურ პარტნიორებსა და ღვინის პროფესიონალებს. იაპონია ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ საექსპორტო ბაზარს წარმოადგენს.



მარკეტინგულ კომპანიასთან „Red Bridge“ ღვინის ეროვნული სააგენტო 2017 წლიდან თანამშრომლობს. ქართული ღვინო, თავისი მრავალფეროვანი გემოებითა და ტრადიციული წარმოების მეთოდებით, იაპონიაში მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას იძენს.

# კვირაცხოვლობა

**19 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს კვირაცხოვლობას, რომელსაც ახალი კვირა, აღდგომის განახლება, თომას კვირა ეწოდება.**

...აღდგომის ღამეს თომას გარდა ყველა მოციქულმა ნახა იესო ქრისტე. მოციქული თომა გვიან მოვიდა. მოწაფეებმა უთხრეს მას: „ჩვენ ვნახეთ უფალი!“ მაგრამ ურწმუნო თომამ არ დაიჯერა.

ერთი კვირის შემდეგ მოწაფეები ისევ შეიკრიბნენ. თომაც მათთან ერთად იყო. იესო ქრისტე კვლავ გამოეცხადა მათ და უთხრა: „მშვიდობა თქვენ“. მერე კი თომას მიმართა: „...მომეცი აქ შენი თითი და გასინჯე ხელები ჩემი, მომეცი ხელი შენი და შეახე ჭრილობას ჩემი გვერდისას და ნუ იქნები ურწმუნო, არამედ იყავი მორწმუნე. თომამ შეჰღაღადა: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“. იესომ უთხრა: „შენ ირწმუნე, რადგანაც მნახე, მაგრამ ნეტარ არიან იგინი, რომლებმაც არ მიხილეს და მირწმუნეს“. მოციქულ თომას თავის ქალა თბილისის სიონის საკათედრო ტაძარშია დასვენებული.



აღდგომის დილიდან ყველა ტაძარში (მთელი ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში), კანკელის წინ დგას პატარა მაგიდა, საგანგებოდ გამომცხვარი პურით, „არტოსით“. მთელი კვირის განმავლობაში ის განსაკუთრებული მადლით იმოსება და დიდ სიწმინდეს წარმოადგენს! კვირაცხოვლობაზე მას წვრილ (მცირე) ნაწილებად ჭრიან და მრევლს ურიგებენ. „არტოსი“ კურნავს სულს და ხორცს.

**გიული ლიპარტია**

# ჰენრიკ იბსენის „ხალხის მტერი“ – პრემიერა მარჯანიშვილის თეატრში

**18, 21 და 29 აპრილს მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე პრემიერაა: ჰენრიკ იბსენის – „ხალხის მტერი“ დაიდგმება.**




თეატრის ინფორმაციით, ჰენრიკ იბსენის „ხალხის მტერი“ დღესაც იმავე სიმწვავით სვამს კითხვას – რა ემართება სიმართლეს მაშინ, როდესაც მას საზოგადოებრივი აზრი, ძალაუფლება და მედია უპირისპირდება. ამ დადგმაში აზრები, პოზიციები და მორალი სანახაობად იქცევა, ხოლო ადამიანი, რომელიც სიმართლეს იცავს, აღმოჩნდება წარმოდგენის ცენტრში – მარტო. აქ თითოეული სიტყვა, ჟესტი და გადაწყვეტილება გარდაიქმნება სანახაობად, სადაც მთავარი კითხვა ისევ უცვლელი რჩება: შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს გაუძლოს უმრავლესობის ძალას.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„ტორში“**
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 20 აპრილს**